საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 23 ოქტომბერი. 2018 წ. №211 (8612) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ბოლო თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ბევრი უბედურების მნახველო და უამრავსიმწარენაწვნევო, საქართველოს ხვალინდელ ბედზე მოფიქრალო გონიერო ამომრჩეველო, ერთი წამითაც არ უნდა იგულმავიწყო, რომ მავნებელი და ათას ცოდვაშეტყაპუნებული ნაციონალები თავიანთი დამნაშავე პრეზიდენტობის კანდიდატების, ქოსატყუილა გრიშა ვაშაძის პრეზიდენტად გაყვანით, ჩვეულებისამებრ, ყოველგვარი უხამსობის ფასად შავი ხვრელის გაყვანას ჩალიჩობენ ისევ ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად,რათა, რაც იმ წყეულ ცხრა წელიწადს დაგვაკლეს, ახლა შეგვისრულონ, საბოლოოდ გადაგვიარონ, საბოლოოდ აგვაცილონ ჭეშმარიტი ცივილიზაციის გზას, საბოლოოდ დაუკარგონ საქართველოს მუდამ განახლებადი მრავალათასსაუკუნოვანი უძველესი სახე!

ფული და გული საქმედ უნდა იქცეს!

„მწვანე პოლიტიკა“

⑤

რამაზ საყვარელიძე:

სააკაშვილის დატოვებული სისტემა ივანიშვილის მტრად რჩება!

③

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა სალომეს 180 000 ლარი შესწირა

პრეზიდენტობის კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა 180 000 ლარი შესწირა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატის სასარგებლოდ შემოწირულობა ბადრი პატარკაციშვილის დედამ და დებმა განახორციელეს. მათ ზურაბიშვილისთვის ცალ-ცალკე, 60-60 ათასი ლარი აქვთ შეწირული.

ავადმყოფები!..

„ქართული ოცნების“ მიერ ერში დამკვიდრებულმა სიმშვიდემ, სულგრძელობამ, პატიებამ, მოთმინებამ, ოპოზიციის გადარჩენაზე ზრუნვამ, სიტყვის (გამოხატვის) უსაზღვრო თავისუფლებამ თავისი შედეგი გამოიღო:

ნაციონალური მოძრაობა საპრეზიდენტო არჩევნების წინა დღეებში საბოლოოდ გაშიშვლდა, ზნეობრივად, სულიერად კიდევ უფრო დაავადმყოფდა, ცარიელ ლაქლაქზე გადავიდა და... რა ერთობა, რის კოჰაბიტაცია, სულ გათითოკაცდა.

28 ოქტომბერს, როცა ერთდროულად სასაცილოც და სატირალიც გრიგოლ ვაშაძე პირწმინდად წააგებს არჩევნებს, ალბათ, ბიძინა ივანიშვილთან მივა და პატიებას ითხოვს. როგორც ყოველთვის, თითოეული ქართველის ცხოვრებაზე გადაგებული ქველმოქმედი „სელაპასაც“ აპატიებს და სტრესიდან თავდასახსნელად შეკვეთილის „ბლეკსი არენაზე“ პრიმა ბალერინას, ძალად განაციონალებული ნინო ანანიაშვილის საავტორო კონცერტზე გამართვის უფლებასაც მისცემს!

29 ოქტომბერს კი ჩვენი დროის ყველაზე გაქნილი არამზადა, ნაცისტური სიცრუის, ზიზღის და დაუნდობლობის სიმბოლო ნიკა გვარამია ჩემოდნებს ჩაალაგებს და საზღვარგარეთ, მიშასთან გასამგზავრებელ ბილეთებს შეიძენს (თუ უკვე შეძენილი არა აქვს!)...

სალომე ზურაბიშვილის გამარჯვების შემთხვევაში უკვე მესამედ „დაგვემუქრა“ ქვეყნის დატოვებით!

ეს არ უნდა დავუშვათ! ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ! თუ ნიკა გვარამია და მისი პანდორას ყუთი ქართული ჟურნალისტიკის რადარებიდან გაქრებიან, ცხოვრება მოსაწყენი გახდება, ხოლო მსოფლიოში ერთადერთი ნაცისტური **პარტია-ტელევიზია** საერთოდ შეწყვეტს არსებობას...

არადა, ნიკა გვარამია ოდენ კაცობის ღალატისთვის, ქართული სიტყვის, ქართული ცნობიერების შებილწვისთვის რომ გასაროზგია, ამას წყალი არ გაუვა!

...ხედავთ, ბოლომდე მაინც ველარ გიმეტებთ, თქვე უბადრუკებო, უნამუსოებო და 2012 წელს საბოლოოდ ჩარეცხილებო!

მართლა რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ ამ მამაძაღლმა სააკაშვილმა!..

ჩვენი გაზეთის გონიერო მკითხველო, 28 ოქტომბერს ხმა მიეცით ყველას, ვისაც ინებებთ, გარდა გრიგოლ ვაშაძისა, რადგანაც ყოველმხრივ დეგრადირებული, ავადმყოფი ნაცების საპრეზიდენტო ხელისუფლებაში მოსვლა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ზნეობრივ გაპარტახებას ნიშნავს!

სპარტაკ ქობულია

ნებისმიერი — გრიგოლ ვაშაძის გარდა!

საქართველოს პრემიერი ტოივო კლაარს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ტოივო კლაარს შეხვდა.

მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების, უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ მძიმე ვითარებაზე. აგრეთვე, განიხილეს ტოივო კლაარის უახლოესი ვიზიტები ოკუპირებულ რეგიონებში.

შეხვედრისას კიდევ ერთხელ აღინიშნა საქართველოს მთავრობის ერთგულება კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრის პოლიტიკისადმი. ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის, როგორც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარის მნიშვნელოვან როლზე კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების პროცესში, განსაკუთრებით კი 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების იმპლემენტაციის უზრუნველყოფაში.

საქართველო გამორჩეულად საინტერესო ქვეყანა გახდება მსოფლიოს ტურისტულ რუკაზე

მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველო გახდეს ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო ქვეყანა მსოფლიოს ტურისტულ რუკაზე, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საქართველოს საერთაშორისო შეხვედრების ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომელიც საერთაშორისო კონგრესებისა და კონვენციების ასოციაციასთან (ICCA) თანამშრომლობით იმართება.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა გახდა და მისი კიდევ უფრო განვითარება უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

„ჩვენთვის ნამდვილად საამაყოა, რომ ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო გამოცემები და ტელევიზიები სულ უფრო ხშირად აშუქებენ საქართველოს, როგორც მსოფლიოს საუკეთესო სამოგზაურო ადგილს. ვინც პირველად ხართ საქართველოში, შეგიძლიათ, ეს თქვენი თავლით ნახოთ. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშნელოვანია, რადგან ტურიზმი გახლავთ ერთ-ერთი საუკეთესო გზა, რომლითაც შესაძლებელია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ბუნებრივი სილამაზისა და რაც მთავარია, ქართული სტუმარმასპინძლობის ტრადიციის წარმოჩენა“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მთავრობის მეთაურმა ასოციაციის პრეზიდენტს, ფორუმის დელეგატებსა და მონაწილეებს ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობისათვის მადლობა გადაუხადა. ორდღიანი კონფერენცია, რომელიც სასტუმრო „ბილტმორში“ იმართება, 23 ოქტომბერს დასრულდება.

მამუკა ბახტაძე წმინდა საყდრის საგარეო საქმეთა მინისტრს ესაუბრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე წმინდა საყდრის (ვატიკანი) საგარეო საქმეთა მინისტრს, არქიეპისკოპოს პოლ რიჩარდ გალაჰერს შეხვდა, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრის სტუმრობა მნიშვნელოვან სტიმულს მისცემს საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის, საუკუნოვანი პოლიტიკური და კულტურული კავშირების კიდევ უფრო მეტად გაღრმავებას.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ეკონომიკური კავშირების განვითარების მნიშვნელობაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებზე.

ითქვა, რომ საქართველოს, როგორც უძველესი ცივილიზაციისა და ისტორიის მქონე ქრისტიანულ ქვეყანას, რომელიც ქვეყნის განვითარების მიმართულებით არაერთ წარმატებულ რეფორმას ახორციელებს, ევროპული ქვეყნების მხრიდან დიდი მხარდაჭერა აქვს.

თავის მხრივ, მთავრობის მეთაურმა წმინდა საყდრის საგარეო საქმეთა მინისტრს მადლობა გადაუხადა საქართველოს მუდმივი თანადგომის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისათვის. მხარეებმა ისაუბრეს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მძიმე ვითარებაზე. შეხვედრისას, ითქვა, რომ ქვეყნის ხელისუფლება კვლავ განუხრელად დგას რუსეთთან არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების გზაზე.

ბიძინა ივანიშვილი „გამორჩეულ“ ჟურნალისტებს ინტერვიუზე იწვევს, მაგრამ...

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი „იმედის“, „რუსთავი-2“-სა და „ტვ პირველის“ თოქ-შოუების წამყვანებს ინტერვიუზე იწვევს. როგორც პარტიის პრეს-სმასახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში წერია, ინტერვიუს საერთო სიგნალს პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ პირდაპირ რეჟიმში ყველა დაინტერესებულ მედიასაშუალებას მიაწვდის.

„23 ოქტომბერს, 22.00 საათზე, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი სამი ყველაზე რეიტინგული არხის, სამშაბათის მთავარი პოლიტიკური თოქ-შოუების წამყვანებს: ტელეკომპანია „იმედიდან“, „პირისპირ“ — ირაკლი ჩიხლაძეს, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-დან „არჩევანი“ — გიორგი გაბუნიას და „ტვ პირველიდან“ — „რეაქცია“ — ინგა გრიგოლიას, იწვევს მასთან ინტერვიუზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პარტიის თავმჯდომარემ პოლიტიკაში დაბრუნებისთანავე ვრცელი ინტერვიუ მისცა საზოგადოებრივ მაუწყებელს, ამჯერად მხოლოდ აღნიშნული თოქ-შოუების წამყვანების შეკითხვებს უპასუხებს. ბიძინა ივანიშვილი მედიასთან შეხვედრებს სხვადასხვა ფორმატში მომავალშიც გეგმავს. ინტერვიუს საერთო სიგნალს პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ პირდაპირ რეჟიმში ყველა დაინტერესებულ მედიასაშუალებას მიაწვდის“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ინგა გრიგოლია ბიძინა ივანიშვილთან ინტერვიუზე ვერ მიდის?!

ჟურნალისტი ინგა გრიგოლია ბიძინა ივანიშვილთან ინტერვიუზე ვერ მიდის და წერს, რომ „ტვ პირველის“ რედაქცია გადაწყვეტს, ვინ მიიღებს მათგან მონაწილეობას ივანიშვილთან შეხვედრაში:

„გამარჯობა მეგობრებო. რადგან ამდენი ადამიანი მირეკავს და მეკითხება, მივდივარ თუ არა ხვალ ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუზე, ბარემ აქვე დავწერ, სიამოვნებით წავიდოდი, რადგან მგონია, რომ საინტერესო ბრიფინგი იქნება, მაგრამ ხვალ 20.00-ზე მეწყება გადაცემა „რეაქცია“ რომელიც გრძელდება ზუსტად იმ დრომდე, როცა იწყება ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ ჟურნალისტებთან. ფიზიკურად ვერ მოვახერხებ, ამიტომ ტვ „პირველი“ გადაწყვეტს, ვინ მიიღებს მონაწილეობას ჩვენგან ამ შეხვედრაში. მადლობა ყურადღებისთვის“, — წერს გრიგოლია.

ნიდერლანდების განვითარების ბანკის აღმასრულებელი დირექტორი თანამშრომლობას აღრმავებს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტი გიორგი ქობულია ნიდერლანდების განვითარების ბანკის (FMO) აღმასრულებელ დირექტორს პეტერ ვან მიერლოს შეხვდა.

შეხვედრას ასევე დაესწრნენ ნიდერლანდების ელჩი საქართველოში იოს დაუმა, ნიდერლანდების განვითარების ბანკის საინვესტიციო ოფიცერი აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში იან ვილემ ჰუკი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ეკატერინე მიქაბაძე.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ნიდერლანდების განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტებს საქართველოში, ასევე სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს. აღინიშნა, რომ ბანკი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი დონორია, მისი პორტფელი ქვეყანაში 350 მლნ ევროს ინვესტიციას შეადგენს და მოიცავს ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორიცაა საბანკო, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის სექტორები.

„ჩვენ 15 წელია, რაც საქართველოსთან წარმატებით ვთანამშრომლობთ ისეთ სექტორებში, როგორიცაა ენერგეტიკა, საბანკო სფერო და სოფლის მეურნეობა. საქართველო ჩვენს პორტფელში ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა და ამის მიზეზთა შორისაა, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და ზრდის შესაძლებლობები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თქვენს ქვეყანას აქვს ძალიან დიდი შესაძლებლობა, გაზარდოს საკუთარი ეკონომიკა და ამისათვის, მან კიდევ უფრო მეტად უნდა განავითაროს ურთიერთობები მსოფლიოს მსხვილ ეკონომიკებთან და, ასევე, კიდევ უფრო გაზარდოს სოფლის მეურნეობა,“ — განაცხადა ნიდერლანდების განვითარების ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა პეტერ ვან მიერლომ. მისი თქმით, ნიდერლანდების განვითარების ბანკი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმას, მით უფრო, რომ საქართველოში არსებული კლიმატი ამის შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა. „ჩვენ თქვენს ქვეყანაში 15 წელია, ვართ და კიდევ დიდხანს დავრჩებით,“ — განაცხადა ნიდერლანდების განვითარების ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი კომისიის პირველი შეხვედრა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თავმჯდომარეობით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის პირველი შეხვედრა გაიმართა.

უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისია საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა და მისი მიზანია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა, ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების მინიმუმამდე შემცირება და პრევენცია, ასევე, სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობა. მთავრობის დადგენილებით, კომისიას დაევალა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და 2018 წლის ბოლომდე დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა.

პირველ შეხვედრაზე უწყებათაშორისი კომისიის წევრებმა კომისიის საქმიანობის და უფლებამოსილების საკითხები მიმოიხილეს. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ინიცირების შესახებ და ამ მიზნით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კოორდინაციით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დაამტკიცა.

თორნიკე რიჟვაძე: ამაყი ვარ, რომ აჭარიდან მრავალი ახალგაზრდა მონაწილეობს სარეზერვო სამსახურის საპილოტე პროგრამაში

ბათუმში სარეზერვო სამსახურის საპილოტე პროგრამის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. გახსნის ღონისძიებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე დაესწრო და პროგრამაში მონაწილე რეზერვისტებს სიტყვით მიმართა.

„ამაყი ვარ, რომ აჭარის რეგიონიდან ამდენმა ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიეღო ამ უნიკალურ პროექტში. აღსანიშნავია, რომ რეზერვისტებს შორის არიან სტუდენტები ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლებიდან.

განსაკუთრებით მახარებს ახალგაზრდების ჩართულობა, მათი შემართება და სურვილი, ემსახურონ სამშობლოს და მის უსაფრთხოებას. ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხს სწორედ ასეთი ახალგაზრდების ვაჟკაცობა და თავდადება განაპირობებს. დიდია სარეზერვო სამსახურის როლი როგორც საომარი, ისე არასაომარი მოქმედების დროსაც. მახარებს რეზერვისტების პატრიოტული სულისკვეთება და მათი მზაობა განსაკუთრებული საჭიროების დროს იდგნენ საკუთარი მოქალაქეების გვერდით. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს რეზერვისტებს, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს სარეზერვო სამსახურში გაწევრიანებისა. ამით მათ გამოხატეს უდიდესი სიყვარული ქვეყნისა და სამშობლოს წინაშე“.

რამაზ საყვარელიძე:

საპაკაშვილის დატოვებული სისტემა ივანიშვილის მტრად რჩება!

ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს ფარული ჩანაწერებით უპირისპირდება. ჩანაწერების მთავარი შემოქმედი პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი მირზა სუბელიანია. იგი პროკურატურას „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროიდან შემორჩა და მაშინდელ ხელისუფლებაშიც გახმაურებულ საქმეებს ანდობდნენ — სუბელიანი იყო 26 მაისის საქმის პროკურორი. სუბელიანმა მაღალი თანამდებობა დაიკავა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაშიც. სოზარ სუბარმა მას სასჯელაღსრულების სამინისტროს გენინსპექციის უფროსის თანამდებობა ჩააბარა, რაც მალევე პრობლემა გახდა ხელისუფლებისთვის და ამის შედეგებს „რუსთავი-2“-ის ეთერიდან ისმენს.

ხელისუფლებასა და ოპოზიციის მიერ დაშვებულ შეცდომებზე **რამაზ საყვარელიძეს** ვესაუბრებით.

— ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ფარული ჩანაწერების ომი წარმატებით გრძელდება. ყოველდღიურ რეჟიმში ვისმენთ უმძიმეს ბრალდებას ხელისუფლების მიმართ. როგორ ფიქრობთ, რა პროცესებამდე შეიძლება მივიდეს ვითარება?

რამაზ საყვარელიძე: ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მექმნება — სახელმწიფო არ არის. დანაშაული ორივე მხრიდან არის დანაშაულებრივი. ოპოზიცია მიდის ამ ტიპის დანაშაულზე, მაგრამ პროკურატურა რომ ერთვება ამ ომში, ეს საერთოდ ქმნის ურთულეს ვითარებას. ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, ყველაზე მტკივნეული იყო ფარული ჩანაწერების მოძრაობა ციხიდან ტელევიზიამდე და პროკურატურიდან — ტელევიზიამდე, ეს საერთოდ არაფერს არ ჰგავს, ეს ნიშნავს, რომ ერთ-ერთი ყველაზე დაცული ორგანიზაცია დაცული არ არის. დიდი ინტერესით ველოდი რას იტყოდა წულუკიანი, მაგრამ მისი პოზიცია ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა, თავისი რიტორიკა გადაიტანა პოლიტიკურ ჭრილში.

— ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა ამ შემთხვევაში არ იყო პრობლემის სწორად დანახვა? ვხედავთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იმ მეთოდით ებრძვის ხელისუფლებას, რა მეთოდითაც გადაირჩია ამომრჩეველმა...

— დღეს ხომ წულუკიანის განკარგულებაშია ციხე?! მისი ხარვეზია ის, რაც ხდება და ამის ფონზე პროცესის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა მხოლოდ არასწორია. ფარული ჩანაწერები რომ თავისუფლად მოძრაობენ წინ და უკან, ეს არის დიდი პრობლემა. ჯერ ამაზე უნდა იყოს პროტესტი და მერე იმაზე, რაზეა საუბარი ჩანაწერებში.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად სანდოა ჩანაწერების შინაარსი?

— ეს ცალკე საუბრის თემაა. მე არ ვამბობ რეალურია თუ არა, არ ვგულისხმობ მის ნამდვილობას, მაგრამ ადამიანი, რომელიც ჩანაწერის გამოქვეყნებიდან ორი დღის მერე თვითმკვლელობაზე მიდის, იმ ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა არ ტოვებს იმ შთაბეჭდილებას, რომ მისი ნათქვამი სიტყვა იყოს სანდო.

— როდესაც ყოფილი კადრების საკითხი დგას, ხელისუფლების არგუმენტია, რომ შეუძლებელი იყო მთლიანი სისტემის ცვლილება. ხელისუფლების ეს არგუმენტი მისაღებია, როდესაც ისეთი ოდიოზური ფიგურები, როგორებიც არიან სუბელიანი, მურუსიძე, დარბაისელი, ზარდიაშვილი და ა.შ. დაუშვა ხელისუფლებამ? კოჰაბიტაციის შედეგი დღეს რამდენად არის პრობლემა ხელისუფლებისთვის?

— ეს პრობლემა თავიდანვე იყო. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლებამ არ იზუნა, რომ ქვეყანა დაეყენებინა უკეთეს რელსებზე, ვიდრე იქამდე იდგა. შეიძლება თუ არ შეიძლება — ამ კითხვას რომ დავუბრუნდეთ — ამერიკაში დიდი ეკონომიკური კრიზისის ფონზე მშრალი კანონი იყო, რომელმაც პარტია გახადა უძლიერესი, პოლიცია აბსოლუტურად კორუმპირებული და მაფიის სამსახურში ჩამდგარი.

აი, ასეთი ამერიკა იყო ჩამოყალიბებული, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი. ახალმა მოსულმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, შეეცვალა სიტუაცია. ყველაფერი დაიწყო 5-6-კაციანი ჯგუფიდან. სანდო საგამოძიებო ჯგუფი აიყვანა, დაიწყო მაფიის შერყევა და მიაღწია იმას, რომ ერთ-ერთი ყველაზე სამართლებრივი და კორუფციისგან თავისუფალი ქვეყანა ჩამოყალიბდა.

ასე რომ, კოჰაბიტაცია აუცილებლად უნდა მომხდარიყო, მოგონილი არგუმენტია. სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებას არგუმენტად არ გაუხდია სახელმწიფოში სიტუაციის შეცვლა და ეს არის ძირითადი შეცდომა, არა ბოროტი განზრახვის გამო, არამედ კონცეფციის გამო. მართლა თვლიდნენ, რომ შეუძლებელი იყო ერთი ხელის მოსმით ძველი კადრებისგან განთავისუფლება.

ამ ხელისუფლებამ უკვე იწვნია თავის ზურგზე კოჰაბიტაციის შედეგი. დაინახეს, რომ ნაციონალების სისტემის ისე დატოვება, როგორც იყო, სახიფათოა. ეს სისტემა ნებისმიერ მომენტში შემოტრიალდება და მათ დაარტყამს და ტრიალდება და არტყამს კიდეც, როგორც კი ამის დრო აქვს. ეს არის ჩანაწერების და ძალადობის სისტემა და ერთი და ორი კონკრეტული ადამიანი კი არა, ეს ერთი და ორი ადამიანი არის სისტემად ქცეული, იმდენად მოდებული არიან ყველა სტრუქტურაში. წესით, ხელისუფლება უნდა ხედავდეს, რომ სისტემა მისთვის სახიფათო გახდა.

— არ ფიქრობთ, რომ სისტემასთან შეგუებას ცდილობენ?

— თუკი სისტემასთან შეგუებას ეცდებიან, როგორც ამას 2012 წლიდან მოყოლებული ცდილობდნენ, სისტემას ჭკუაში ვერ ატყუებენ. პირიქით, სისტემა ატყუებს მათ, უჩლუნგებს სიფხიზლეს, მერე უტყამს იქ, სადაც სუსტი წერტილია. სააკაშვილის დატოვებული სისტემა მტრად რჩება ივანიშვილის ხელისუფლებისთვის.

— ივანიშვილის ხელისუფლება საუბრობდა ძალადობრივი სისტემის შეცვლაზე, მაგრამ ამისთვის პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. პარლამენტის ტრიბუნიდან გვესმოდა, რომ საბოტაჟს გვიწყობენო; იგივე ჭიკაიძეს შს მინისტრობის დროს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო გადატრიალებაზე, მაგრამ ბოლომდე არ ვიცით, რა ხდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ან არაფერი არ იყო, ან ხელისუფლებამ ვერ გაბედა სააკაშვილის მიერ დატოვებულ სისტემასთან დაჯახება...

— შეიძლება, სისტემამ, ანუ იმ გადატრიალების ავტორებმა ნახეს, რომ ხელისუფლების მხრიდან რაღაცა ემუქრებათ, ამიტომ ხელისუფლებასთან გარიგების ხერხები შეარბილეს და გააგრძელეს არსებობა, მაგრამ ის, რომ დროებით შეარბილეს ვითარება, ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა მოგვარდა.

— ანუ, ხელისუფლება დროებით შედეგზეა ორიენტირებული?

— დიახ. დროებითი შედეგი აკმაყოფილებს. თქვენ იკითხეთ — რატომ? უფრო მძიმე ვარაუდი მაქვს, ვიდრე თქვენ გულისხმობთ, უუნარობის გამო. ეს მძიმე არის იმ მხრივ, რომ ადამიანი უფრო ადვილად იტანს იმას, რომ ბოროტად ჩათვალო და ბოროტი განზრახვა დააბრალო, ვიდრე იმას, რომ უუნარობა დააბრალო. გრძელვადიანი მოფიქრება იმისა, როგორ უნდა გადაწყვიტო ის პრობლემა, რასაც ახალი სახელისუფლებო სისტემის დამკვიდრება ჰქვია, ამას მოფიქრება და სახელმწიფოებრივი აზროვნება უნდა. კადრების მოხსნა- დანიშვნით ეს პრობლემა არ გადაწყდებოდა. თუმცა, არც ეს უქნიათ თანმიმდევრულად. სახელმწიფოს „ჩამოყალიბებაში“ გადამწყვეტი როლი არაკომპეტენტურობამ ითამაშა.

— შს მინისტრი აცხადებს, რომ დეტალურ დონეზე იცის, ვინ, სად, როდის, რას გეგმავდა და რას გეგმავს. როგორ ფიქრობთ, ფარული ჩანაწერების ომის ფონზე, ოპოზიციის რეალური მოტივი რა არის. ნაციონალების გეგმა გრძელვადიან შედეგზეა გათვლილი, თუ ამ შემთხვევაშიც მოკლევადიან შედეგზე არიან ორიენტირებული?

— მთელი ჩვენი უბედურება ის არის, რომ რა ხარვეზიც არის ხელისუფლების მხარეს, ზუსტად იგივე ხარვეზი არის მთელი ოპოზიციის მხარეს. პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც გრძელვადიანი აზროვნების უნარი აქვს, რომელიც აგებს არჩევნებს, ასეთი პარტიისგან ელი, რომ დაჯდება და გაიაზრებს, რატომ აგებს არჩევნებს, მერე ეცდება, ნაკლი მოიშოროს და კარგი, დადებითი გაიძლიეროს. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ძალადობის გამო წააგო არჩევნები და ყველა საარჩევნო პროცესში ძალადობაზე აქვს აქცენტი. ტყუილის და დაბრალებების გამო წააგო, ამ დროს ვაშაძე ზურაბიშვილს აბრალებს, რომ რუსეთზე მუშაობსო. ამომრჩეველი ძალიან იდიოტი უნდა იყო, რომ ეს არ დაინახოს და ამის მიმართ უარყოფითი გრძნობა არ გაუჩნდეს. ვერ მოიფიქრა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, როგორ მიიზიდოს ამომრჩეველი. მისთვის უფრო ადვილია, აკეთოს ის, რასაც შეჩვეულია. ანალოგიურად, „ქართული ოცნება“ შეჩვეულია ისეთ სახელმწიფოს, როგორიც იყო, არაფერი არ შეიცვალოს, ეს ქართული მენტალიტეტის პრობლემაა.

ჩვენ გვეამაყება, რომ „შუშანიკის წამებას“ დღესაც ვკითხულობთ, ოღონდ ეს საამაყო არ არის იმ ფონზე, როდესაც დღევანდელი ინგლისი შექსპირს ვერ კითხულობს. იმდენად შეიცვალა ენა, რომ შექსპირის დროინდელი ენა სხვა რამეა. ენა თუ შეიცვალა, ე.ი. აზროვნება შეიცვალა. ჩვენ თუ 17 საუკუნის მანძილზე ვკითხულობთ მაშინდელ წიგნებს, ე.ი. უცვლელობაზე ვართ ორიენტირებული და გვეამაყება, როცა არაფერი არ იცვლება. აი, ეს ბაცილა არის ერთშიც, მეორეშიც, საზოგადოებაშიც და თან ყველგან ვჩივით, რომ ცუდად ვართო. თუ ცუდად ხარ, მაშინ უნდა შეცვალო. თუ არ ცვლი, ისევ ცუდად იქნები. თითოეულ ჩვენგანს აქვს აზროვნებაში ეს ავადმყოფობა.

— ამ ვითარებაში საინტერესოა ისიც, რომ არც ამომრჩეველი ცვლის თავის პრიორიტეტებს...

— გეთანხმებით. ერთს დავამატებ — არსებითად არ ცვლის არაფერს. ნაციონალებზე თქვა უარი იმიტომ, რომ ცოცხი დაინახა, თორემ არსებითად, მას თვითონ აქვს ეს ქვეყანა ასაშენებელი და ეს აზროვნება თუ არ შეიცვალა, სულ ასეთი პრობლემა იქნება.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

რასაც „რუსთავი-2“ უჩვენებს, ყველაფერი ტყუილია!

„ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი, კახა კალაძე ხელისუფლების წევრების მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს ეხმაურება, რომელიც ელიტურ კორუფციას ეხება.

საუბარია მინისტრების, საპარლამენტო უმრავლესობის წევრების სახელზე არსებულ უძრავ ქონებაზე, რომელიც მათ 2012 წლის შემდეგ შეიძინეს.

„ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი ამბობს, რომ არ დაინტერესებულა კონკრეტული პირების ქონებით. კახა კალაძე „რუსთავი-2“-ს კიდევ ერთხელ აკრიტიკებს და ტელეკომპანიის ჟურნალისტებს „მატყუარას“ უწოდებს.

„არ დავინტერესებულვარ ადამიანების შემოსავლებით და იმ ქონებით, რაც იმათ გააჩნიათ ან როდის ჰქონდათ... თქვენი ეთერით თუ იყო, 100 %-ით დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ტყუილი. თქვენ როგორ გიყუროთ, მატყუარა ტელევიზია ხართ და მთელი თქვენი სარედაქციო პოლიტიკა დაფუძნებულია სიძულვილზე, დაფუძნებულია ადამიანების შეურაცხყოფაზე,“ — განაცხადა კალაძემ.

ასეთი მძიმე, ასეთი ცუდი წინასაარჩევნო კამპანია 2012 წელსაც ვნახე!

ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, ამ ცუდი კამპანიის ავტორები დღეს ჩვეულ რეჟიმში აგრძელებენ საარჩევნო კამპანიის წარმოებას.

„2012 წლის საარჩევნო კამპანიის ავტორები დღესაც იმავე სტილში აგრძელებენ. ეს არის დისკრედიტაცია, პირადი შეურაცხყოფა და ბევრი ცუდი რამის დაბრალება. დეტალებში არ ჩავუღრმავდები. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, ის მართლაც აწარმოებს ევროპული სტილის საარჩევნო კამპანიას. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას ერთი ცუდი სიტყვაც კი არ დასცდენია თავის ოპონენტებზე და არ მოუხსენებია არასწორად. დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები ყველაფერს ასახავენ და ეს ყველაფერი იქნება წარმოდგენილი“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნულ საკითხზე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან ობიექტური შეფასებების მოლოდინი ნამდვილად არ აქვს.

თავგანწირვა და ზნეობა

რადგან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომიდან (რომლის მოთავეც საკაკაშვილი გახლდათ და არა საქართველო!) ათი წელი გავიდა, ღირს, გავიხსენოთ ამ ომში ქართველი ჯარისკაცის თავგანწირვა (გიორგი ანწუხელიძისა და მისთა მსგავსთა), განსხვავებით ნაცმთავრობისგან, რომლის წარმომადგენლები დღესაც შესანიშნავ გუნებაზე არიან და პრეზიდენტის პოსტის ხელში ჩასაგდებად ყველა უზნეო საშუალებას მიმართავენ (ხედავთ – უტიფრობის რა დონეა!).

თავგანწირვა არ არსებობს თავისუფლების, არჩევნის თავისუფლების გარეშე, და ამ მხრივ, საინტერესოა თავისუფლების განხილვა თეოლოგიის პოზიციიდან, რომელსაც გვთავაზობს გამოჩენილი გერმანელი მოაზროვნე **კარლ რანერი** (1904-1984) თავის წერილში **„ათეიზმზე“ („თეოლოგიური ცნობარი“,** ტ. I, ფრაიბურგი 1972).

აქ თავისუფლება წარმოგვიდგება, როგორც ადამიანის ფსიქოლოგიური და ზნეობრივი არჩევნის თავისუფლება, განსაკუთრებით იმ სფეროში, რომელსაც ეწოდება ცოდვა და მისი მონანიება, პასუხისმგებლობა ღვთის წინაშე. ამ თავისუფლების ზუსტი არსი საეკლესიო მოძღვრებებში არ არის აღწერილი, იგი იგულისხმება როგორც ცნობილი. ხაზგასმული მხოლოდ ის არის, რომ საუბარია არა მხოლოდ გარეშე იძულებისგან თავისუფლებაზე არამედ შინაგანი იძულების თავისუფლებაზეც. ადამიანის თავისუფლება, პირველცოდვიდან მოყოლებული, ზემოქმედებას განიცდის გრძნობისმიერი ნდომისგან (Konkupiszenz), რის გამოც მას აღწერენ, როგორც დამცრობილს, დასუსტებულს და დაზიანებულს. მაგრამ აქ ისევ ღვთიური მადლი უბრუნებს ცოდვილ ადამიანს თავის თავისუფლებას. ასე რომ თავისუფლება ეძლევა ადამიანს, როგორც ღვთის საბოძვარი და ამგვარად მიღებული თავისუფლება, რანერის მიხედვით, ადამიანისთვის არის საიდუმლო, რომელიც ღვთის სრულ იდუმალებაში ძევს.

ერთი მაგალითი ჩვენი ისტორიიდან. ცნობილია, რომ წმ. მეფე დემეტრე თავდადებული „აღერია წარმართთა და ისწავნა საქმენი მათნი, უძღებებისა და სიძვისა, გულის-სიტყვისა უკანა შედგომილმან მოიყვანა ცოლნი სამნი, ერთი ბექას ასული, და სხვა რომელი დედათა შეაცთუნეს სოლომონისებრ, და ურიცხუთა კეთილთა მიერ აღვსებული მცირედ სიბოროტედ მიდრკა, რომლისთვისცა ნიკოლოზ კათალიკოსი განრისხებული უთქმიდავე და ამხილებდა მრავლად და ვერ არწმუნა“.

აქ აშკარაა, რანერის მოსაზრებების მიხედვით, თავისუფლების შეზღუდვის ორივე გარემოება: გარეშე – გაბატონებული მონღოლებისგან მრავალცოლიანობის ჩვევის გადმოღება და, შინაგანი – პირველცოდვიდან მოყოლებული, გრძნობისმიერი ნდომა. მაგრამ აი დგება კრიზისული მომენტი, როდესაც მეფე მონღოლთა დიდებულების ინტრიგებში ჩათრეული, „განრისხებული ყაენის“ წინაშე უნდა წარდგეს, რაც მეფის თავკვეთით უნდა დასრულდეს. და სწორედ აქ, რანერის სიტყვებით თუ ვიტყვით, მეფეს ეუფლება ღვთის საიდუმლო – მას საბოძვრად ეძლევა არჩევნის თავისუფლება.

მონღოლები რწმენის გამო არავის სდევნიდნენ. „მონღოლთა მეფის კარზე – იუწყება მონღოლეთის ისტორიის სპეციალისტი ალექსანდრე იურჩენკო, – იძულებულნი იყვნენ, მშვიდობიანად ერთად ეცხოვრათ ბუდისტებს, დაოსის მიმდევრებს, მუსლიმებს, ნესტორიანებს, კათოლიკებს და მართლმადიდებლებს, მონღოლ წინასწარმეტყველებსა და სხვა სპეციალიზებულ მაგებს“ **(ა. იურჩენკო, „ოქროს ურდო“, ს.-პეტერბურგი, 2012 წ., გვ. 15).** ასე რომ, არა ქრისტიანობის გამო უპირებდნენ დასჯას მეფე დემეტრეს. მაგრამ ამ მომენტისთვის ხდება სასწაული და ეპიკურეელი მეფე გარდაიქმნება მკაცრ ქრისტიანად, რაც მისი არჩევანის თავისუფლებაზე ზეგავლენას ახდენს. ჩემი შეხედულებით, ის ხდება, რაც ნეტარ ავგუსტინეს მიაჩნდა ადამიანის უღონო ბუნებრივ ნებაზე ღვთაებრივი მადლის ძალდატანებად. ეს არის სასწაული, რაც, ავგუსტინეს აზრით, გამოიხატა პავლეს მოქცევისას, როდესაც მასზე განხორციელდა „ქრისტეს დიდი ძალდატანება“. მიუხედავად იმისა, რომ „კათოლიკოსნი და ეპისკოპოსნი, მოძღვარნი და მთავარნი“ მეფეს ურჩევდნენ, თავი გადაერჩინა და გახიზნულიყო მთიულეთში ან აფხაზეთში, მეფემ მტკიცედ მიუგო იმათ სრული ქრისტიანული სიმშვიდით: **„მრავალმღელვარე არს საწუთრო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩვენი სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ, და უნებელ და მსწრაფლ თანა – გუაც წარსვლა სოფლისა ამისგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკუდეს და მე ტვირთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ რომე ქუეყანა უვნებლად დარჩეს“. მეფის სიტყვა ქრისტიანულ ენთუზიაზმს იწვევს და მეფეს შემდეგნაირად უპასუხებენ: „აწ თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისათვის, ჩვენ ყოველნი ეპისკოპოსნი ვიტვირთავთ ცოდვათა შენთა“.**

მაგრამ მკითხველმა, შეიძლება, რომ სამართლიანად იკითხოს: განა არ არსებობს თავგანწირვა ათეისტების მხრიდან? აქ ძალაუნებურად მახსენდება ფილოსოფოს **ევგენი ტრუბეცკოის** მონაყოლი, როდესაც მან დისერტაცია დაიცვა და იქ მყოფმა დიდმა ქრისტიანმა ფილოსოფოსმა, **ვლადიმირ სოლოვიოვმა** ასე მიმართა მას (იხ. ე. ტრუბეცკოი, **„დასავლეთის ქრისტიანობის რელიგიურ-საზოგადოებრივი იდეალი“,** ს. – პეტერბურგი, 2004 წ., გვ. 547): **„შენ მოუწოდებდი ყველა აღმსარებლობის ქრისტიანს, გაერთიანებულიყვნენ ურწმუნოების წინააღმდეგ საბრძოლველად, მე კი, პირიქით, უფრო მეტად ვისურვებდი ურწმუნოებთან გაერთიანებას, თანამედროვე ქრისტიანების წინააღმდეგ“.**

რასაკვირველია, სოლოვიოვი გულისხმობს ფარისეველ ქრისტიანებს, ისევე, როგორც სიორენ კირკეგორი იბრძოდა თავისი დროის ფარისეველური ქრისტიანობის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ვლადიმირ სოლოვიოვს არაერთხელ აღუნიშნავს ათეისტების დადებითი როლი იმდროინდელი რუსეთის სოციალურ ცხოვრებაში.

დავუბრუნდეთ საკითხს თავგანწირვის შესახებ. ათეისტთა მხრიდან პირველი თავგანწირვაზე საუბრობს და დიდად აფასებს მას თავად ათეიზმის მამამთავარი **ლუდვიგ ფოიერბახი** თავის **„ლექციებში რელიგიის არსზე“,** სადაც **„რელიგიურ მსხვერპლშეწირვას“** იგი უპირისპირებს **„მორალურ მსხვერპლშეწირვას“,** როგორც **„ნებაყოფლობით თავგანწირვას სხვა ადამიანების, სახელმწიფოს, სამშობლოს სასიკეთოდ“.** ასევე ნიცშეს გამონათქვამები მის **„აისში“** (...რატომ არ უნდა შეეწირონ მომავალ თაობებს ინდივიდუუმები თანამედროვე თაობებიდან) ნიადაგს უმზადებს თავისი მრავალმნიშვნელოვნებით პოლიტიკურ აზროვნებას, რომელსაც საბოლოოდ ნაციონალ-სოციალიზმის თავგანწირვის იდეოლოგია აიტაცებს. სწორედ ამას ამტკიცებს მწერალი და პირველი მსოფლიო ომის გმირი **ერნსტ იუნგერი** თავის **„მუშაში“: „ადამიანის უდიდესი ბედნიერება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავს სწირავს“.** გამოჩენილი მოაზროვნე და სამართალმცოდნე კარლ შმიტი თავის **„პოლიტიკურის ცნებაში“, „ლიბერალური აზროვნების ინდივიდუალიზმის საწინააღმდეგოდ“,** აკანონებს ტოტალიტარული სახელმწიფოს მოთხოვნას **„სიცოცხლის გაწირვის“** შესახებ. უკვე ადოლფ ჰიტლერი თავის **„ჩემს ბრძოლაში“** საუბრობს **„ერთობლიობისათივს ცალკეულის თავგანწირვის შესაძლებლობაზე“,** რაც მოგვიანებით **იოზეფ გებელსმა** ფრონტის ჯარისკაცებზე გადაიტანა თავის წერილში „რა არის თავგანწირვა?“

ასევე **კარლ მარქსი** საუბრობდა **„პარიზის კომუნარების თავგანწირვის უნარზე“,** ხოლო დიდ სამამულო ომში **„სამშობლოსათვის და სტალინისათვის“** თავგანწირვა ჩვეული ამბავი გახლდათ. მემარცხენე მოაზროვნე ერნსტ ბლოხი თავის „იმედის პრინციპში“ ასეთ რამეს წერს: „კომუნისტი გმირი თავს წირავს მკვდრეთით აღდგომის იმედის გარეშე. მიუხედავად ამისა, ეს მატერიალისტი ისე კვდება, თითქოს მთელი მარადისობა მისია. ეს იმიტომ, რომ მან უკვე შეწყვიტა თავისი მე-ს მნიშვნელოვნად მიჩნევა, მას ჰქონდა კლასობრივი შეგნება“.

ჩემი შეხედულებითა და რწმენით, ნებისმიერ თავგანწირვას, იქნება ეს სხვა ადამიანისათვის თუ სამშობლოსათვის, საფუძვლად უდევს მათ მიმართ სიყვარული. ამიტომ ნებისმიერ ათეისტში, სურს ეს მას, თუ არ სურს, თავგანწირვის მომენტში **„უხილავად“** იჭრება ღვთის სასიყვარულო ნება.

ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, თავგანწირვის მთავარი მოვლენა გახლავთ მაცხოვრის, იესო ქრისტეს თავგანწირვა ჩვენი ხსნისათვის. **„ესე არს სისხლი ჩემი ახლისა შჯულისაი, მრავალთათვის დათხეული“** (მარკოზი, 14:24).

ახლა დავუბრუნდეთ დღევანდელ დღეს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ათ წლისთავს და აღვნიშნოთ:

ეგრეთ წოდებულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ (გაძრაძემ, ვაშაძემ, ბოკერიამ და მათმა ძმებმა) ამ ომში არათუ თავგანწირვა გვიჩვენა, არამედ ხელისუფლებაში ყოფნის ჟამს უდიდესი ღალატი ჩაიდინა ქართველი ჯარისკაცის (მისი გედის ანაბარად მიტოვების გამო) და მთელი საქართველოს მიმართ, რის გამოც, ილიას სიტყვებით თუ ვიტყვით, დღეს „ხაფანგებ ქვეშა მოქცეულნი ვართ“. ამას დაუმატეთ მათი გატონობის დროინდელი სისასტიკე და არაკაცობა, რაც გამოიხატებოდა ქართველი ჭაბუკების ქუჩაში ჩახოცვით, პატიმრების წამებით, ბიზნესმენების უკანონო გატყავებით და სხვა ანგარებიანი უზნეო ქმედებებით – ასე რომ, კაცი გაკვირვებას ეძლევა: რა ნამუსით გამოდიან ეს დამნაშავეები საპრეზიდენტო არჩევნებზე.

ვიქტორ რცხილაძე

მთავრობამ ფულის დახარჯვა ვერაფრით ვერ ისწავლა!

2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში ბიუჯეტის დეფიციტური ხარჯვა ბოლო წლების ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწევს. ამას უკვე აუდიტის სამსახურიც ადასტურებს. თუკი ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა (12,5 მლრდ ლარი) შესრულდება, მაშინ დარჩენილ პერიოდში ბიუჯეტიდან საშუალოდ 1,3 მილიარდი ლარი უნდა დაიხარჯოს. ეს დიდ პრობლემებს შეუქმნის ისედაც გაუფასურებულ ლარს.

აუდიტის სამსახურში ვარაუდობენ, რომ ბიუჯეტის აქამდე აუთვისებელი თანხები, წლის ბოლო თვეებში დაიხარჯება და ეს ხარჯვა ბოლო წლებთან შედარებით, ყველაზე მასშტაბური იქნება. ამის შესახებ საუბარია სამსახურის მოხსენებაში, რომელიც 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მთავრობის ანგარიშს ეხება. უწყების გათვლებით, იმ შემთხვევაში, თუკი ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა (12,5 მლრდ ლარი) შესრულდება, მაშინ ბოლო 4 თვის განმავლობაში, საშუალო თვიური ხარჯი 1,3 მილიარდს უნდა გაუტოლდეს, რაც გასული 8 თვის საშუალო მაჩვენებელს 45%-ით აჭარბებს (აქამდე საშუალო თვიური მაჩვენებელი 901 მილიონი იყო).

„იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე წლის 8 თვის ათვისების ტენდენციები წინა წლების შესაბამისი პერიოდის მსგავსია, ხოლო შესრულების მაჩვენებელი შედარებით დაბალია, 2018 წლის ბოლოს მოსალოდნელია გადასახდელების ათვისების უფრო მასშტაბური ზრდა, წინა თვეების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით“, – აცხადებენ აუდიტის სამსახურში.

რა გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს ასეთ სიტუაციაში? დარჩენილ 2,5 თვეში უზარმაზარი თანხის დახარჯვა ლარის კურსს უდიდეს პრობლემას შეუქმნის. ერთადერთი სწორი გამოსავალი ბიუჯეტის ხარჯების გადახედვა და მისი შეკვეცაა. ეკონომისტი ზვიად ხორგუაშვილი ამბობს, რომ ამ ვითარებაში ეს საუკეთესო გამოსავალია. მისი თქმით, მთავრობას ბიუჯეტის დაგეგმვის პრობლემა აქვს და ბოლო რამდენიმე წელი ეს ტენდენცია უცვლელია.

„პრობლემებს ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გათვალისწინებული თანხების აუთვისებლობა ქმნის. დარჩენილ თვეებში ამ ფულის ეფექტიანად დახარჯვა, ერთი მხრივ, არის ძალიან რთული, მეორე მხრივ, ასეთმა არათანაბარმა ხარჯვამ შეიძლება გავლენა მოახდინოს, ან შეიძლება უკვე ახდენს კიდეც გავლენას, ლარის კურსზე. პირველი წელი არ არის, რომ მთავრობა ამ პრობლემის წინაშეა, ეს 4-5 წელია, მეორდება. ბოლო თვეებში იქამდე მიდის ხოლმე საქმე, რომ კომპანიებს ავანსად ურიცხავენ თანხებს, რომ ფორმალურად შეასრულონ ბიუჯეტის გეგმა“, – განაცხადა ხორგუაშვილმა.

ექსპერტი იმავე პრობლემის განმეორებას ვარაუდობს 2019 წელშიც. **„3,4 მილიარდის დახარჯვა აქვთ დაგეგმილი მომავალ წელს კაპიტალურ პროექტებზე, ეს არის საოცრად დიდი თანხა, ისეთი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. თუ კაპიტალურ პროექტებზე გათვლილი თანხები 1,2 მილიარს ასცდა, უკვე ჩნდება კითხვები სწორ ხარჯვასთან დაკავშირებით“,** – აცხადებს „ბიზნეს მედიასთან“ ხორგუაშვილი.

ანალიტიკოსი ვახტანგ ჭარაია კი აცხადებს, რომ წლის ბოლოს ბიუჯეტის დეფიციტური ხარჯვა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების თანამდევი გახდა. ეს გამოწვეულია დაგეგმვის ან შესრულების დროს კვალიფიკაციის ნაკლებობით.

„თუ ბიუჯეტი დააფინანსებს ადგილობრივ გადასახდელებს, რა თქმა უნდა, წნეხი იქნება უფრო დიდი, მაგრამ თუ ეს იქნება უცხოური ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში ინფრასტრუქტურულ პროექტებს აკეთებენ, ესეც იქონიებს გავლენას ლარის გაცვლით კურსზე. ლამის ნახევარი მილიარდით მეტი უნდა დაიხარჯოს თვიურად და ეს, რასაკვირველია, მოახდენს უარყოფით გავლენას“, – აღნიშნავს ჭარაია.

ბექა დანელია

„მწვანე პოლიტიკა“

სამგორიდან ლილოს მიმართულებით ახალი მეტროსადგურები აშენდება

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ „მწვანე პოლიტიკა — ეკოტრანსპორტის“ პრეზენტაციაზე განაცხადა.

„დღეს ჩვენ ვაანონსებთ ძალიან მნიშვნელოვან პროექტს. შემოვლითი რკინიგზის ინფრასტრუქტურას ჩვენ გამოვიყენებთ და ავაშენებთ ახალ მეტროსადგურებს სამგორიდან ლილოს მიმართულებით. ეს დამატებით სიცოცხლეს მოიტანს ჩვენს დედაქალაქში. ამასთან ერთად, თბილისის აგლომერაცია ვითარდება და პერსპექტივაში ეს ხაზი დაგვეხმარება, რომ მომავალში ქალაქი რუსთავიც შესაბამისი ინფრასტრუქტურით თბილისის მეტროს მოვაბათ. ეს არის მართლაც ისტორიული მნიშვნელობის პროექტი“, — განაცხადა ბახტაძემ.

10 წლის განმავლობაში საქართველოში მოქმედი ავტოპარკის 90 პროცენტი ელექტრომობილებით ჩანაცვლდება

პრემიერის თქმით, ეს არის ძალიან ამბიციური გეგმა, თუმცა, ამავდროულად, ეს გეგმა დიდ უპირატესობას მოუტანს საქართველოს.

„მწვანე ეკონომიკა არის ჩვენი რეფორმების მთავარი ქვაკუთხედი. ეს ხედვა მოიცავს ძალიან ბევრ მიმართულებას, როგორიც არის სოფლის მეურნეობა, საწვავის სტანდარტი, ტრანსპორტი და ა.შ. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც, შემდეგი 10 წლის განმავლობაში საქართველოში მოქმედი ავტოპარკის 90% ჩანაცვლდება ელექტრომობილებით. ეს არის ძალიან ამბიციური გეგმა, თუმცა, ამავდროულად, ეს გეგმა დიდ უპირატესობას მოუტანს საქართველოს“, — განაცხადა ბახტაძემ.

შემოვლითი რკინიგზის პროექტი კონტრპროდუქტიული იყო!

ჩემი რკინიგზაში მუშაობის პერიოდში სრულიად ობიექტურად მოხდა თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის შეჩერება, ვინაიდან ის ვერანაირ სტანდარტს ვერ პასუხობდა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა.

„ბევრ თქვენგანს მოეხსენება ე.წ. შემოვლითი რკინიგზის პროექტის შესახებ. ბევრი რამ ითქვა ამ პროექტთან დაკავშირებით და მოგეხსენებათ, რომ სწორედ ჩემი რკინიგზაში მუშაობის პერიოდში მოხდა ამ პროექტის შეჩერება სრულიად ობიექტურად, ვინაიდან, ის ვერანაირ სტანდარტს ვერ პასუხობდა. უფრო მეტიც, ის იყო კონტრპროდუქტიული და მე ვიტყოდი, რეტროგრადული. თქვენ ვერ ნახავთ ევროპაში ვერც ერთ ქალაქს, სადაც არ არის განვითარებული ყველაზე მწვანე ტრანსპორტი, რკინიგზა. თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ ევროპულ ქალაქს, სადაც არ არის ცენტრალური რკინიგზის სადგური. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა იმას, რომ ჩვენ ყველაზე მწვანე ტრანსპორტი უნდა გადაგვეტანა ქალაქიდან და მის მაგივრად შეგვექმნა დამატებითი ავტომაგისტრალები ჩვეულებრივი ავტომობილებისათვის. ბუნებრივია, ეს არის სრულიად მიუღებელი. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანი საინჟინრო ნაკლოვანებები ჰქონდა ამ პროექტს და ჩვენ გვქონდა საერთაშორისო დასკვნები, რომლის მიხედვითაც, ამ პროექტის დამთავრება არსებული დიზაინით იყო სრულიად მიუღებელი. შესაბამისად, ჩემი მთავარი ხედვა გახლდათ სწორედ ის, რომ ჩვენ მოგვეხდინა ის, რაც გააკეთა ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ წარმატებით — მოგვეხდინა რკინიგზის და მეტროს ინტეგრირება ერთმანეთში ყველაზე ეფექტური საშუალებით. დღეს ჩვენ ვაანონსებთ ძალიან მნიშვნელოვან პროექტს და კახი ამის შესახებ ისაუბრებს დეტალურად. შემოვლითი რკინიგზის ინფრასტრუქტურას ჩვენ გამოვიყენებთ და ავაშენებთ ახალ მეტროსადგურებს სამგორიდან ლილოს მიმართულებით. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც დამატებით სიცოცხლეს მოიტანს ჩვენს დედაქალაქში“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

სავაჭრო დეფიციტს ელექტრომობილების წარმოებით შევამცირებთ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სავაჭრო დეფიციტის შემცირებას ელექტრომობილების წარმოებაში ხედავს. როგორც მამუკა ბახტაძე აცხადებს, იმპორტის ჩამონათვალში ნომერ პირველ ადგილზე გახლავთ საწვავი.

„საწვავზე მოდის ჩვენი იმპორტის ყველაზე დიდი წილი. აქედან გამომდინარე, ელექტრომობილებზე გადართვა აქვს დამატებითი უზარმაზარი მაკროეკონომიკური ეფექტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, საქართველოში შევქმნათ მეტი დოვლათი, შევამციროთ სავაჭრო დეფიციტი და ამასთან, გავაჩინოთ მსხვილი მომხმარებელი ადგილზე წარმოებული ელექტროენერგიის“, — განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, საქართველოში ელექტრომობილების შემოყვანა მომდევნო კვირიდან დაიწყება საქართველოში და შემდეგი ერთი წლის განმავლობაში, ე.წ. ქარშეარინგის პრინციპით, ორი ათასზე მეტი ავტომობილი შემოვა.

„საუბარია საზიარო ავტომობილების პრინციპზე, რომელსაც უზარმაზარი უპირატესობა აქვს. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ტრაფიკს ჩვენს დედაქალაქში და ამავე დროს, ხელს შეუწყობს, რომ ელექტრომობილები კიდევ უფრო პოპულარული გახდეს ადგილობრივ ბაზარზე“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ყველა რაიონში, ყველა უბანში იქნება პარკირების განსხვავებული ტარიფი...

— ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ზონალური საათობრივი პარკირების სისტემა 2019 წლიდან რამდენიმე ცენტრალურ უბანში ამოქმედდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა.

„აქ ჩვენ რაღაც განსაკუთრებულს და ახალს არაფერს ვიგონებთ. უბრალოდ, საუკეთესო პრაქტიკა გადმოგვაქვს ევროპული ქვეყნებიდან, სადაც ამ ტიპის პროექტები არის განხორციელებული. თქვენ იცით, რომ როდესაც ჩვენ ოფიციალურად მოგვეცა უფლებამოსილების განხორციელების საშუალება, „სითი პარკთან“, რომელიც არღვევდა არსებულ ხელშეკრულებას და წინააღმდეგობაში მოდიოდა ყველაფერთან, ხელშეკრულება შევწყვიტეთ. დღეს თბილისის სატრანსპორტო კომპანია ახორციელებს პარკირების მოწესრიგებას ქალაქის მასშტაბით. მომავალი წლიდან უკვე შემოგვაქვს ზონალური პარკირების სისტემა. ყველა რაიონში, ყველა უბანში იქნება განსხვავებული ტარიფები და მგონია, რომ ესეც ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა იმისთვის, რომ პარკირების სისტემა და ზოგადად პარკინგი იყოს მოწესრიგებული“, — განაცხადა კახა კალაძემ.

წლის ბოლოს გვეცოდინება, გვჭირდება თუ არა მიკროავტობუსები თბილისში...

პრაქტიკულად უკვე სრულდება სატრანსპორტო სისტემის განახლებისა და ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ჩატარებული კვლევა, რომელსაც კომპანია „სისტრა“ აკეთებს, ჩვენ EBRD-ისგან **მივიღეთ გრანტი, დაახლოებით 1 მილიონი ჯდება ამ კვლევის ჩატარება, რომელიც იანვარში დაიწყო და წლის ბოლოს დასრულდება,** — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ „მწვანე პოლიტიკა — ეკოტრანსპორტის“ პრეზენტაციაზე განაცხადა.

მისი თქმით, ამის შემდეგ თბილისსს ექნება ქალაქის სატრანსპორტო მასტერპლანი, რომელიც დედაქალაქს არასდროს ჰქონია.

„ჩვენ გვეცოდინება, როგორ უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს საზოგადოებრივი ტრანსპორტი — მეტრო, ავტობუსი, ასევე გვეცოდინება, გვჭირდება თუ არა ჩვენ მიკროავტობუსები ქალაქში და ა.შ. წლის ბოლოს ეს კვლევა დასრულებული იქნება.

2021 წლამდე ქალაქის მასშტაბით ავტობუსის ზოლები, ე.წ. ბასლაინები მოეწყობა იმისთვის, რომ ავტობუსით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება იყოს სწრაფი და კომფორტული. უკვე გვაქვს სქემები. ჩვენთან ერთად მუშაობს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტები და მათი დახმარებით უკვე მთელი ქალაქის მასშტაბით შემუშავებულია კონკრეტული ადგილები, სადაც ავტობუსისთვის სწრაფი გადაადგილების ზოლები უნდა გაკეთდეს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

2020 წლიდან დედაქალაქში 200-მდე ელექტროავტობუსი შემოვა

2020 წლიდან თბილისის მერია დედაქალაქში სრულიად ახალი სტანდარტის, 18-მეტრიან 200-მდე ელექტროავტობუსს შემოიყვანს.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია: 2020 წლიდან დედაქალაქში დამატებით შემოვა სრულიად ახალი სტანდარტის, 18-მეტრიანი 200-მდე ელექტროავტობუსი. თავიდან ვფიქრობდი, რომ 18-მეტრიანი ავტობუსების გადაადგილება დედაქალაქში შეუძლებელი და რთული იქნებოდა, თუმცა იმ კვლევის შედეგებმა, რომელსაც „სისტრა“ ატარებს, აჩვენა, რომ 2020 წლიდან დედაქალაქს აუცილებლად სჭირდება ელექტროავტობუსები, რომლებიც უნდა იყოს 18-მეტრიანი. ვფიქრობთ, რომ 2020 წლიდან, ის 550 ავტობუსი, რომელიც 2019 წლის ბოლოსთვის იქნება საქართველოში, დაახლოებით, 900 ერთეულამდე გავზარდოთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, 2019 წლის შემდეგ, თბილისში შემოსული ყველა ავტობუსი ელექტრო იქნება, რაც დედაქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია.

მერმა ასევე აღნიშნა, რომ 2021 წლამდე ქალაქის მასშტაბით მოეწყობა ავტობუსის ზოლები, რითაც საზოგადოებრივ ტრანსპორტს უპირატესობა შეექმნება და გაცილებით სწრაფად გადაადგილდება.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲰᲐᲐᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲘᲡ ᲭᲧᲣᲘᲚᲘ!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡ განცხადება ჰააგის შესახებ არის ტყუილი, რასაც მტკიცებულებით დავადასტურებთ, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ „ევროპული საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის გუშინდელ ბრიფინგთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, „არავის მოგვწონს ის, როგორ წარმართავენ ოპოზიციური კანდიდატები საარჩევნო კამპანიას“.

„ეს კამპანია მიმდინარეობს მუდმივი აგრესიის, შეურაცხყოფის რეჟიმში, რაც ძალიან სამწუხარო მოვლენაა, ეს ხელს ნამდვილად არ შეუწყობს პოლიტიკური საარჩევნო კულტურის განვითარებას. საპირისპირო მაგალითს იძლევა სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც წარმართა მთელი ეს კამპანია ევროპულ სტილში. ეს არის ის ნაბიჯი, რომელიც თავის წვლილს შეიტანს ჩვენთან საარჩევნო კულტურის განვითარებაში. ამისთვის მას მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, „ევროპული საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით ბაქრაძემ ბრიფინგი გამართა, სადაც განაცხადა, რომ ჰააგაში საქართველოს მიერ შეტანილ სარჩელზე რუსეთის წინააღმდეგ რუსეთმა მოამზადა საპასუხო სარჩელი რომელშიც არგუმენტებად მოყვანილია ციტატები სალომე ზურაბიშვილის წიგნიდან.

...ᲠᲐᲡ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲐ, ᲘᲛᲐᲕᲔᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲛᲤᲐᲡᲔᲑᲚᲔᲑᲘ

2008 ᲬᲚᲘᲡ ომთან დაკავშირებით საპრეზიდენტო კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მხრიდან საბოლოო პოზიცია რაც იყო, არ სცდება საერთაშორისო შეფასებებს, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა.

რაც შეეხება „ევროპული საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის განცხადებას, რომ რუსეთი სალომე ზურაბიშვილის განცხადებებს ჰააგის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ იყენებს, ჩუგოშვილის თქმით, მას ამაზე ინფორმაცია არ აქვს.

„განცხადებები, რომელიც გაკეთდა ზურაბიშვილის მიერ, სხვადასხვაგვარი იყო. ვფიქრობ, რომ საპრეზიდენტო კანდიდატის მხრიდან ბოლოს რაც მოვისმინეთ და საბოლოო პოზიცია რაც იყო, არ სცდებოდა 2008 წლის ომთან დაკავშირებით საერთაშორისო შეფასებებს. კონკრეტულად რუსეთის მხრიდან რა იყო მტკიცებულებებად წარდგენილი და ამას რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს პროცესზე, ეს იუსტიციის სამინისტრომ შეიძლება თქვას უფრო კომპეტენტურად.

ეს ინფორმაცია შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს, როგორც ქვეყნის წარმომადგენელს, თუ რა მტკიცებულებები აქვს რუსეთის მხარეს წარდგენილი. ამიტომ სწორი იქნება, თუ დეტალებზე იუსტიციის სამინისტრო ისაუბრებს“, — განაცხადა ჩუგოშვილმა.

ᲬᲘᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ!

ᲐᲛᲘᲡ შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა. მისი თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ არანაირი მორალური უფლება არა აქვს, ისაუბროს ომზე.

„წინა ხელისუფლების ქმედებების გამო ტერიტორიები გვაქვს დაკარგული. რა განცხადებებზე ვსაუბრობთ საერთოდ. „ნაციონალურ მოძრაობას“ არანაირი მორალური უფლება არა აქვს, ისაუბროს ომზე. ჩვენ დავკარგეთ ტერიტორიები, უამრავი ადამიანის სიცოცხლე, ჩვენი გმირები, მშვიდობიანი მოსახლეობა, 200-მდე სოფელი. დღეს ჩვენი ტერიტორიების 20% არის ოკუპირებული და გამოდიხართ, საუბრობთ ომზე, ძალიან უხერხულია“, — განაცხადა კახა კალაძემ.

◎ 26-ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲢᲝᲚᲔᲑᲐ

ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ?

რამდენიმე დღეც,და საქართველო თავის მეხუთე პრეზიდენტს აირჩევს.

მართლაც, საინტერესოა, ვინ შეუყვება ზვიად გამსახურდიას გაკვალულ ნარეკლიან ბილიკს, რომელსაც საკუთარი მრწამსის ერთგულება არ აპატიეს და პოლიტიკურ მემკვიდრეებად ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი და გიორგი მარგველაშვილი „დაუნიშნეს“.

ღმერთმა დაგვიფაროს, რომელიმე მათგანს დამსახურებები დავუკარგოთ და უმადურობაში ზოგიერთებს შევეჯიბროთ, მაგრამ ისიც საკითხავია, რამდენად სწორად ვსვამთ საკითხს, როცა ვამბობთ, მეხუთე პრეზიდენტს ვირჩევთო.

დიახ, ქრონოლოგიურად მართლაც სახელმწიფოს მეხუთე მეთაური უნდა გამოვავლინოთ, მაგრამ რაც შეეხება შინაარსს, ამ მხრივ კითხვის ნიშნები სჭარბობს პასუხებს, და ვცადოთ, ავხსნათ, რატომ?

უპირველესად სათქმელია, რომ პირველკაცობის მსურველთა სიმრავლის მიუხედავად, გამარჯვების რეალური შანსი, უფრო სწორად, ხელისუფლების ფავორიტ ერთადერთ დამოუკიდებელ ქალბატონ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილთან ღირსეულად გამკლავების რესურსი ერთსაც კი არ გააჩნია. აქ საუბარი არაა მატერიალურ რესურსებზე, რომელიც, კაცმა არ იცის, რა გზებით მოიძია განდიდების მანიით შეპყრობილთა ნაწილმა. ალბათ, მიხვდით, რომ ამჯერად იმ დესტრუქციულ ძალას ვგულისხმობთ, რომელსაც, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მოყოლებული, მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი თითქმის ყოველ ჯერზე უცხადებს უნდობლობას პერმანენტულ საარჩევნო მარათონებში, ის კი ხან ინდივიდუალურად, ხანაც მარტივ მამრავლებად დაშლილ-დაქუცმაცებული, ჯიუტად ლამობს ოლიმპზე დაბრუნებას და იქ ასაბობღებლად არც აკრძალულ ხერხებს იშურებს და არც დემაგოგიურ ილეთებს, რაც არსენალში უხვად მოეპოვება.

კი მაგრამ, როცა წინასწარ წაგებულ ომში შედიხარ, რაიმე ხომ უნდა გამოძრავებდეს! რა თქმა უნდა, და ასეთია დასავლეთელ პარტნიორ-მეგობართა წინაშე თავის მოწონება და ჩვენება — მაინც პოლიტიკური მორევის ზედაპირზე ვტივტივებთ, გინდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გვერქვას, გინდ ევროპული საქართველო და გინდა გირჩი.

რასაკვირველია, რას დაირქმევენ, ეს მათი საქმეა, მაგრამ რაც უნახავთ, რომ ველარ ნახავენ, ამას ისტორიული გამოცდილებაც მოწმობს და ჩვენი უახლესი წარსულიც.

დიახ, ვამბობთ 25 საპრეზიდენტო კომისარს (უკაცრავად — კანდიდატს) და ვგულისხმობთ...

თუმცა, რაღა საჭიროა გამეორება, როცა ვიცით, ვინც არ უნდა ავირჩიოთ, ისიც ვიცით, ვის ავირჩევთ.

ᲒᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲫᲐᲚᲖᲔ

ᲣᲐᲖᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲜᲐᲛᲣᲡᲝ ᲔᲞᲝᲥᲐ

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲖᲔ ცოტა მეტი ხნის წინათ ერთი პარტიის ლიდერმა განაცხადა, ჩვენი პარტია ჩვენი ეპოქის აზრი, სინდისი და პატიოსნებაა.

ეს განცხადება არც უარუყვიათ და არც დაუდასტურებიათ იმდროინდელ პოლიტიკოსებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

თუ დღეს საქართველოში რომელიმე, ერთი ან რამდენიმე პარტიის ლიდერი ანალოგიურ განცხადებას გააკეთებს თავის პარტიაზე, ჩვენ არაპოლიტიკოსებმა, ვისაც ეს ქვეყანა გვიშენებია, უნდა ვაღიაროთ, რომ ძალიან უაზრო, უნამუსო და უპატიოსნო ეპოქაში ვცხოვრობთ. ასეთ ეპოქაში რომ ვცხოვრობთ, ადასტურებს ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ანალიზი და მიმდინარე მომენტის თავისებურება (იგულისხმება პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, არასამთავრობოების და სხვათა მიერ შექმნილი გარემო).

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე „ქართულმა ოცნებამ“ აღიარა, რომ ნაციონალების ბატონობის პერიოდში ხდებოდა სისტემური დანაშაული. როგორც ამტკიცებდნენ, იმისთვის, რომ „ქართული ოცნება“ სისტემურ დანაშაულს გამიჯვნოდა, ნაციონალები უნდა გაეშვათ და თავიანთი მხარდამჭერები დაესაქმებინათ, რაც ნაწილობრივ განახორციელეს კიდეც. სამინისტროებში, მუნიციპალიტეტებში და სხვაგან, ყველა თანამშრომლის გათავისუფლება და თავიანთი მხარდამჭერების მიღება მაშინ შეუძლებელიც იქნებოდა. ასეთი ნაბიჯი ანგარიშსწორებად შეფასდებოდა, რაც წამგებიანი იქნებოდა „ქართული ოცნებისთვის“.

ასეთი უკიდურესი ღონისძიებაც არ იქნებოდა საკმარისი, ქვეყანაში სისტემური ცვლილებები რომ მომხდარიყო.

სისტემური ცვლილებები აუცილებელი იყო და არის, რათა კანონიერი საფუძველი შეექმნას ბიზნესს.

ქვეყანას ამ სფეროში არც ერთი კანონი არა აქვს.

როდესაც ხელისუფლება ბიზნესს სასათბურე პირობებს უქმნის, ხელს უწყობს მის განვითარებას, იქვე წარმოიქმნება კორუფცია. სხვა შემთხვევაში რატომ მიენიჭება ერთ იურიდიულ პირს უპირატესობა მეორესთან შედარებით? არსებობს რაიმე კრიტერიუმი?

ბიზნესის გაფეტიშებამ და ქვეყანაში დამკვიდრებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა წყობამ მოიტანა დიდი მასშტაბის კორუფცია — უმაღლეს ეშელონებში, სისასტიკე და კრიმინალის ზრდა, ქვეყნის ეკონომიკური სიმძლავრეების გაყიდვა, რიგითი ადამიანების ექსპლუატაცია და მათი საზღვარგარეთ განდევნა.

ბიზნესის მოსაწესრიგებლად საჭირო კანონის მიღება აუცილებელია, მაგრამ ამ საკითხს დღის წესრიგში არ აყენებს არც ერთი პოლიტიკური პარტია, ამიტომ ეპოქა, რომელიც შექმნეს, მათ ხელს აძლევს, ხოლო ხალხისთვის და ქვეყნისთვის ეს ეპოქა არის უაზრო და უნამუსო.

ასეთ ეპოქაში ცალკეული პოლიტიკოსებისა თუ პოლიტიკური ჯგუფების მიერ გადადგმული ქვეყნისთვის პოზიციური ნაბიჯები მათთან დაპირისპირებული პოლიტიკოსების მიერ აღიქმება ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად.

მმართველი პარტიის ახალგაზრდულმა ფრთამ, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, მაინც შეძლო კონსტიტუციაში საჭირო ცვლილებების შეტანა, რაც თვით ბატონმა ბუკიკიომ დადებითად შეაფასა. ირაკლი კობახიძემ აშშ-ში იმ ჯგუფების წინაშე გამოსვლისას, რომელთა პროექტი არის მიხეილ სააკაშვილი, განაცხადა, თუ სააკაშვილი საქართველოში ჩამოვა, მას დაიჭერენო.

ამ განცხადებით ბატონმა ირაკლი კობახიძემ ყველას გააგებინა, რომ საქართველო სუვერენული ქვეყანაა.

დღეს საქართველოში საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს. პრეზიდენტობის კანდიდატები ერთმანეთთან, „როგორც წესი“, მკვეთრად არიან დაპირისპირებული. აშშ-ის წარმომადგენელ ჯორჯ კენტის მოწოდებით, პრეზიდენტობის კანდიდატები ერთად უნდა დასხდნენ და მოიფიქრონ, როგორ აიცილონ თავიდან ქართველი მოქალაქეების გატაცება სეპარატისტების მიერ.

ასეთ მოწოდებას არც ერთი პრეზიდენტობის კანდიდატი არ გამოეხმაურება, რადგან მათ სურთ, მომავალში არაფერზე პასუხი არ აგონ.

ზემოაღნიშნული და სხვა მიზეზების გამო უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ უაზრო და უნამუსო ეპოქაში ვცხოვრობთ.

ოდესმე დაფუძნდება ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც დაამკვიდრებს ჩვენი ხალხისთვის მისაღებ ეპოქას?

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ
593-74-82-53

თითქოს გუშინ იყო!..

არქივმა შემოგვინახა

სანამ 1991-1992 წლების მიჯნაზე დაიწვებოდა, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობაში არსებულ არქივში შევაღწიე (იმ დროს ეს აღარ იყო წარმოუდგენელი ამბავი) და რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე წავიკითხე. დღემდე შემომრჩა ამონაწერები იმ „საქმეებიდან“ და ახლა მინდა, ისინი მკითხველს შევთავაზო.

ნასვამი დელეგაცია

ყოფილი მსხვილი ჩეკისტი, ჯერ საქართველოში, შემდეგ კი რუსეთში მოღვაწე, 1954 წელს უშიშროების გენერლის წოდებით პენსიაზე გასული, 1956 წლიდან მოსკოვის მირქმის მონასტერში ბერად აღკვეცილი მანუჩარ (კაკო) შელია (1900-1992 წ.წ.) გვიამბობს:

1926 წლის შემოდგომაზე თბილისს ეწვია თურქეთის სამხედრო დელეგაცია. მოსკოვმა საქართველოს ჩეკისტებს დელეგაციის წევრთა შორის დივერსიული ქსელის შექმნა უბრძანა. საქართველოს საიდუმლო პოლიციამ თავმჯდომარის ეპიფანე კვანტალიანისა და მისი მოადგილის ლავრენტი ბერიას დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს ვერ მოახერხა. მაშინ მათ ტაქტიკა შეცვალეს და სტუმრები ბანკეტებით გადაღალეს.

ერთ ბანკეტზე ჩხუბი ატყდა და თურქებს ცხვირპირი გაუერთიანეს. დელეგაციამ თბილისი მეორე დღესვე დატოვა. თურქებმა მოსკოვში იჩივლეს. მოსკოვმა სასტიკი გამოძიება მოაწყო.

ე. კვანტალიანს ეს ამბავი თანამდებობის დაკარგვად დაუჯდა, ბერია კი თავმჯდომარის სავარძელში გადაჯდა. მან შემმოწმებლები დააჯერა, რომ ჩხუბის დაწყების დროს ადგილზე არ იყო, დაცვას ამოწმებდა. კვანტალიანმა უბრალოდ ვერ შეაფასა ჩხუბის შედეგად გამოწვეული პრობლემის სერიოზულობა.

მავნებლობა მთავრობის სასახლის მშენებლობაზე

30-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისში დაიწყო მთავრობის სასახლის (ზედა ნაწილის) მშენებლობა. ძალიან მალე გაირკვა, რომ დაფინანსება, ერთი შეხედვით სოლიდური, საკმარისი არ იყო. მშენებლობას აძვირებდა მექანიზმების უქონლობა, ქაოსი, ალბათ არც ხარჯთაღრიცხვა იყო სწორად დაანგარიშებული და დაიწყო დამნაშავეთა, ანუ მავნებელთა ძებნა...

„მგალობლიშვილმა (ლაპარაკია საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე გერმანე მგალობლიშვილზე, რომელიც უკვე დაპატიმრებულია როგორც ხალხის მტერი — **ა.ა.**) მითხრა, რომ იწყებს საქართველოს მთავრობის სასახლის მშენებლობას, რომელიც 13 მილიონი უნდა დაჯდესო. ამით უნდოდა, სამეურნეო ორგანიზაციებიდან ამოექაჩა მსხვილი თანხა, რაც ძირს გამოუთხრიდა საქართველოს. მან ისიც კი მითხრა, რომ ამას მავნებლობის მიზნით აკეთებს. მაგალითად, „სამტრესტიდან“ და საკერავი მრეწველობიდან არაკანონიერი კომბინაციით მსხვილი თანხები გადაიქაჩა სასახლის მშენებლობისთვის. ეს მშენებლობა განგებ ჭიანურდება და ძვირდება“ (საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ხელოვნების საქმეთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე აკაკი თათარიშვილი — დაკითხვის ოქმი. 1937 წ. 17 აგვისტო).



„როცა 1935 წლის მაისში „საქსახლმშენში“ გადავედი სამუშაოდ ტრანსპორტისა და ექსპედიციის უფროსად, სწრაფად მივხვდი, რომ სასახლის მშენებლობაზე ორგანიზებული მავნებლობა ხდებოდა. მშენებლობის მთავარ ინჟინრად მუშაობდა კონტრრევოლუციურად განწყობილი და ადრე სამრეწველო პარტიის („პრომპარტიის“ — **ა.ა.**) საქმეზე ნასამართლევი ინჟინერი სამოილოვი. იქვე ქვის მთლელად მუშაობდა უცხოეთის ქვეშევრდომი — იტალიელი რონკორნი, რომელიც სამუშაოდ სამოილოვმა მიიღო. 15 სატვირთო ავტომანქანიდან მუშაობდა მხოლოდ 3, დანარჩენი მწყობრიდან იყო გამოსული. 24 წყვილცხენა საზიდრიდან მწყობრში იდგა 5, რადგან ან საზიდარი იყო გატეხილი, ან ცხენი დავარდნილი, ასევე 24 ცალცხენა საზიდრიდან მუშაობდა მხოლოდ 10“ (არტელ „კახეთის“ ყოფილი თავმჯდომარის დიმიტრი ბართაიას ჩვენება, 1937 წ. 1 აგვისტო).

იოლი მისახვედრია, რომ ორივე ამ ჩვენების „ორგანიზაციული მავნებლობის“ მიმართულება გამომძიებლების „ჩაწოდების“ შედეგია...

რამდენი ასეთი „მავნებლური ორგანიზაცია“ აღმოაჩინეს და რამდენი უდანაშაულო ინჟინერი და ქვისმთლელი გამოასალმეს წუთისოფელს, რათა ქვეყნის მართვის უუნარობა და უნიათობა დაეფარათ, შიში და ძრწოლა გაემეფებინათ...

ვინ ჩამოაგდო მოგილევსკის აეროპლანი?

ბერიას ერთობ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარე სოლომონ მოგილევსკისა და კონტრდაზვერვის განყოფილების უფროს აშუკინთან და თავის დასაცავად გველის ტყავში უხდებოდა გაძრომა.



მან 1923 წელს საიდუმლო პოლიციისგან სრულიად დამოუკიდებელი „ჩრდილოვანი“, საიდუმლო, 12-კაციანი (სამჯგუფიანი) განყოფილება შექმნა, რომელიც მხოლოდ მის დავალებებს ასრულებდა.

მის მიერ შექმნილი საიდუმლო განყოფილება მიზნად ისახავდა არა მარტო „კონტრრევოლუციური ელემენტების აღმოფხვრას, მათ ლიკვიდაციას, არამედ თვით ჩეკას აპარატში პირადად მისთვის საშიშ პირთა და მოვლენათა გამოვლენას და მათ წინააღმდეგ მასალების შეგროვებას“.

მისი ყოფილი მარჯვენა ხელი მანუჩარ შელია იგონებს: „მე მოვიძიე მაკომპრომეტირებელი ფაქტები, რომლებიც საბოლოოდ ძირს გამოუთხრიდა ბერიას მტრებს — მოგილევსკისა და აშუკინს.

„— გარდა ამ პირებისა, ჩვენ ვეწეოდით ყოველდღიურ დაკვირვებებს ისეთ პარტიულ მუშაკებზე, როგორებიც იყვნენ კვანტალიანი, ორახელაშვილი, ლომინაძე, ქართველიშვილი, ელიავა. წულისკირის ჯგუფის ერთი ნაწილი მუშაობდა „ბუდუ მდივნის საქმის“ შექმნაზე, რადგან ბერია სხვაზე მეტად მას ვერ იტანდა. იგივე შეხედულებისა იყო ბერიაზე ბუდუ მდივანიც, რომელიც სხვა პარტიულ მუშაკებთან ერთად დაბეზღების წერილებს აგზავნიდა მოსკოვში ძერჟინსკისთან და სტალინთან, რითაც ბერიას განადგურებას ცდილობდნენ“, მაგრამ მომავალში მოვლენები სრულიად საწინააღმდეგოდ წარიმართა...

თუმცა კვლავ მოგილევსკი-აშუკინთან ბერიას დაძაბულ ურთიერთობას მივუბრუნდეთ. მკითხველს გავაცნობთ მ. შელიასადმი ლავრენტის ერთ წერილს (1923 წ. 11 აპრილი), რომლითაც დასტურდება, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარეს განუწყვეტლივ უთვალთვალებდნენ: „კაკო (მ. შელიას ფსევდონიმი — **ა. ა.**), ყურადღებით დააკვირდი ჩემს არყოფნაში აშუკინის და მოგილევსკის ქმედებებს, ზუსტად მინდა, ვიცოდე მათი გადაადგილების მარშრუტი, შენი მეგობარი“.

ამ ადამიანების მტრულ ურთიერთდამოკიდებულებას სხვებიც ხედავდნენ. ამიტომ იყო, რომ როცა ორ სხვა ბობოლა მოღვაწესთან, საკავშირო და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრთან, რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანთან ალექსანდრ მიასნიკოვთან და ამიერკავკასიის ფედერაციის მუშურ-გლეხური ინსპექციის სამხედრო კომისრის მოადგილესთან, ადრე საგანგებო კომისიის ორგანოების ერთ-ერთ პირველ ხელმძღვანელთან ალექსანდრ ათარბეგოვთან ერთად მოგილევსკი 1925 წლის 22 მარტს საავიაციო კატასტროფაში დაიღუპა (მათი აეროპლანი აფხაზეთში გაფრენისას დიდუბის აეროდრომთან ჩამოვარდა. ისინი მთელი 70 წელიწადი პატივით განისვენებდნენ თბილისის ცენტრში, რუსთაველზე, ცისფერი გალერეის კედელთან არსებულ ძმათა სასაფლაოზე), თუმცა ორმა ოფიციალურმა კომისიამ, რომელთაგან პირველს თვით ლ. ბერია ხელმძღვანელობდა, ყველაფერი თვითმფრინავის ტექნიკურ გაუმართაობას დაბრალა, ბევრი ფიქრობდა, ავარია ლავრენტის მოწყობილიაო. მოგილევსკისთან ერთად დაღუპული მიასნიკოვის ნათესავმა ა. ოვსიენკომ ოფიციალურადაც კი დასდო მას ბრალი ერთ-ერთ კრებაზე.

იქნებ, არც ცდებოდნენ!

ვინ იყო ლავრენტის ეს მტერი?

შეძლებული ებრაელი ვაჭრის შვილი ს. მოგილევსკი ადრევე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. 1917-1919 წლებში პარტიის მიერ წარგზავნილმა, სისხლის ღვარი დააყენა ივანოვო-ვოზნესენსკში, სარატოვში, უკრაინაში. 1919 წელს მოსკოვის საგანგებო კომისიის განსაკუთრებული განყოფილების საგამოძიებო ნაწილის, შემდეგ კი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის საგარეო განყოფილების უფროსად მუშაობდა. 1922 წლის დეკემბერში ამიერკავკასიის ჩეკას თავმჯდომარედ „ირჩევენ“, იმავდროულად ამიერკავკასიის ფედერაციის შინაგანი და სასაზღვრო ჯარების სარდლადაც ნიშნავენ. ბევრი შავი საქმის გაკეთება მოასწრო და ცოდვებმაც უწია.

* * *

აძვე კიდევ ერთი ცნობა ლევანდოვსკის „კაიკაცობის“ შესახებ, რომელსაც ისევ და ისევ მ. შელია გვაწვდის. ერთ-ერთ პარტიულ თათბირზე მოგილევსკიმ განაცხადა: ჩვენ დავსაჯეთ 1924 წლის აჯანყების მონაწილენი და კვლავაც გავაგრძელებთ მათ დასჯას. მაგრამ წითელი არმია არ უნდა დაემსგავსოს დაუნდობელ მხეცს, რომელსაც მხოლოდ სისხლი სწყურია. **გაითვალისწინეთ, რომ საბჭოთა საქართველოს აკლია მუშახელი, ამიტომ... დახვრიტეთ მხოლოდ ისინი, ვინც არ გამოადგება ბოლშევიკებსო.**

სამაგალითო ჰუმანიზმია!

მეგრულ თხას კახეთი უნდა დაეპურებინა რძითა და ხორცით

XX საუკუნის 30-იანი წლების პირველი ნახევრისთვის მეცხოველეობა ჩვენში ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი დარგი იყო. ახალმა რეჟიმმა, სოფლის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანისას, „ბოლშევიკური სიმტკიცით“ პირწმინდად ამოიძირკვა უმდიდრესი ტრადიციები და ყველაფერი ნულიდან დასაწყები შეიქმნა.

ნურავინ იფიქრებს, რომ ქართველი ბოლშევიკები დღენიადაგ არ ზრუნავდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. მაგალითად საქ.კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა ლ. ბერიამ საქ. კპ(ბ) ცკ-ის 1936 წლის აგვისტოს პლენუმზე უძვირფასესი მითითება მისცა აგრარიკოსებს — მან ყურადღება გაამახვილა კახეთში მეგრული ჯიშის თხის გავრცელების მიზანშეწონილობაზე. თხის ეს ჯიში თურმე ადგილობრივი ჯიშის ძროხაზე მეტ რძეს იწველის, საკვები კი 4-5-ჯერ ნაკლები სჭირდება.

რა თქმა უნდა, უმალ აიტაცეს ეს ძვირფასი გამოცდილება და კახეთში ხორცის, რძისა და რძის პროდუქტების პრობლემის ასე იოლად გადაჭრის მთელი გეგმა დასახეს.

მაგრამ თურმე მტერს არ ეძინა...

თურმე სწორედ მავნებლობით, მტრის ხრიკებით ჩაშლილა ამხ. ბერიას მიზანდასახულება კახეთში მეგრული ჯიშის თხის მასობრივად მოშენების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით სიღნაღელ ვერაგებს (სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შ. ალავერდაშვილს და სხვ.), გამოუღიათ ხელი: მათ თბილისში, მიწსახკომში მოკალათებული მტრების მითითებით ჯიშიანის ნაცვლად, სამეგრელოში 70 უჯიშო თხა შეუძენიათ, ცივ ამინდში უყურადღებოდ გადმოუყვანიათ და დაუავადებიათ, შემდეგ ეს ავადმყოფი პირუტყვი ჯანსაღ ცხვრებში შეურევიათ და ამ გზით ავადმყოფობა გაუვრცელებიათ...

ალეკო ასლანიშვილი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

კრემლი კავკასიაში კონფლიქტების გეოგრაფიას აფართოებს

პოლიტოლოგი **ავრაამ შმულევიჩი** ინგუშეთის მოვლენებსა და ჩეჩნეთის მიწებზე კაზაკების პრეტენზიებს კრემლის მიერ ინიციირებულად მიიჩნევს.

„ინგუშეთის მიწების ჩეჩნეთისთვის გადაცემის ვითარება იმგვარად იყო ორგანიზებული, რომ მასშტაბური „აფეთქების“ გარდა, სხვა შედეგის მოლოდინს არ ქმნიდა. ყველაფერი მაქსიმალურად პროვოკაციულად იყო ორგანიზებული და ერთადერთი კითხვა, თანაც ალბათ მთავარიც, ის იყო, თუ ვინ იდგა მთელი ამ ქმედებების უკან. ეჭვი იმთავითვე კრემლზე მქონდა და ახლაც, რამდენიმე დღის შემდეგ, ის მხოლოდ გამიმყარდა. საექსპერტო წრეებში გაიჟღერა მოსაზრებებმა, რომ ამ მოვლენების უკან შესაძლოა, ადგილობრივი ხელისუფლება ან კადიროვი მდგარიყვნენ, თუმცა რეალურად, მიმდინარე მოვლენები სანქცირებული იყო კრემლის მიერ, თანაც უმაღლეს დონეზე“,— თვლის შმულევიჩი.

ამგვარად ფიქრის საფუძველს ექსპერტს რამდენიმე გარემოება უქმნის:

ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ლიდერებს შორის 26 სექტემბერს ადმინისტრაციული საზღვრის ახლებური დადგენის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას ესწრებოდა რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში;

ინგუშ საზოგადო მოღვაწეებს მოლაპარაკებებზე მოუწიათ ურთიერთობა კავკასიაში პუტინის მიერ ხელდასხმულ პირთან, პრეზიდენტის ადმინისტრაციის შიდა პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელ ანდრეი იარინთან. ფორმალურად, ეს უმაღლესი თანამდებობის პირია, რომელიც შიდა პრობლემებითაა დაკავებული. სხვათა შორის, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, ჩაშალეს, ვინაიდან არ დაეთანხმნენ არც ერთ მოთხოვნას მომიტინგეების მხრიდან, რომლებიც მზად იყვნენ მოლაპარაკებებისთვის;

საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეხვედრაზე არჩევნების ფალსიფიცირების უტყუარი მტკიცებულებები წარმოადგინეს, თუმცა უმაღლესი თანამდებობის პირებმა, რომლებიც ქვეყანაში კანონის დაცვაზე არიან პასუხისმგებლები, ამ ფაქტებს უბრალოდ იგნორირება გაუწიეს.

„ზემოთქმულის გათვალისწინებით, ეჭვიც აღარ რჩება, რომ ამ ყველაფრის უკან მოსკოვი დგას“, — ასკვნის შმულევიჩი და იქვე სვამს კითხვას, რა მიზანს ისახავდნენ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წარმომადგენლები?

პოლიტოლოგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ 26 სექტემბერს ხელმოწერილი შეთანხმება ინგუშეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა და იგი რატიფიცირებული არ არის, თუმცა ჩეჩნეთის ხელისუფლებამ იგი უკვე ძალაში შესულად გამოაცხადა და მიაყოლა, რომ ამას თითქოს ინგუშეთის ხელისუფლებაც ეთანხმება.

„ეს სრულიად გაუგონარი რამაა. როგორ შეიძლება, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირება, თანაც იმ პირობებში, როდესაც ამ შეთანხმებას ეწინააღმდეგება ინგუშეთის საზოგადოების 80% და ჯერ არაფერი დასრულებულა, სიტუაცია ცხელ ფაზაში რჩება!“, — ამბობს შმულევიჩი.

გარდა ამისა, როგორც პოლიტოლოგი აღნიშნავს, ინგუშეთის მოვლენებამდე 2 დღით ადრე სტავროპოლის საზღვარზე რუსეთის ფედერაციის ძალების მანევრები დაიწყო, ხოლო უშუალოდ მოვლენების მიმდინარეობისას ანალოგიური მანევრები წამოიწყეს ჩრდილოეთ ოსეთში, ინგუშეთის საზღვრის სიახლოვეს.

„სოციალურ ქსელებში თვითმხილველები აქვეყნებდნენ ვიდეომასალებს, რომლებიც ასახავდნენ, როგორ გადაადგილდებოდნენ სამხედრო ტექნიკის კოლონები დაღესტნიდან ინგუშეთის მიმართულებით. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება სამომავლოდ მოვლენები, თუმცა უდავოდ, ეს ყველაფერი მოსკოვის მიერ არის ინიციირებული და ისევე აგრძელებს“ — დარწმუნებულია შმულევიჩი.

რაც შეეხება კაზაკების პრეტენზიებს ჩეჩნეთის ორ რაიონზე და განცხადებებს იმის შესახებ, რომ ისინი რესპუბლიკას თავის დროზე უკანონოდ გადაეცა, პოლიტოლოგი ადასტურებს, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიის შემადგენლობაში მართლაც არსებობს ორი რაიონი, რომელიც ოდესღაც კაზაკებს ეკუთვნოდათ და 1954 წელს სტავროპოლის მხარიდან ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიის შემადგენლობაში გადაიყვანეს.

„კაზაკების საუბრები იმის შესახებ, რომ ეს ტერიტორიები დასაბრუნებელია, პირველად არ ისმის. მათი უკანასკნელი შეკრება სრულიად თავისუფლად, ყოველგვარი წინაღობების გარეშე ჩატარდა, ხოლო იმ ორგანიზაციების სათავეში, რომლებმაც ამ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა, რუსეთის მთავრობის მოქმედი ჩინოსნები დგანან. ამდენად, სრულიად ნათელია, რომ ესეც მოსკოვის მიერ არის სანქცირებული“, — ამბობს პოლიტოლოგი.

შმულევიჩი ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებს, რომ კავკასიაში კონფლიქტების კერების გეოგრაფია გაფართოებას განაგრძობს:

„ყველაფერი ყაბარდო-ბალყარეთიდან დაიწყო, ორიოდ დღეში განვითარდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ვითარება, ახლა ამას ჩეჩნებსა და კაზაკებს შორის კონფლიქტი მოჰყვა...ყველა ეს მოვლენა კრემლის ან უშუალო მითითებით, ან მისი მდუმარე თანხმობით ხდება“.

რაც შეეხება ჩეჩნეთის რუსეთის მიერ ხელდასხმული ლიდერის — რამზან კადიროვის სავარაუდო რეაქციას, შმულევიჩი მისგან განსაკუთრებულ სიურპრიზებს არ ელის და აღნიშნავს, რომ „კადიროვი, როგორც უპირველესად ფედერალური ჩინოსანი, ყოველთვის რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების ნებას ასრულებდა და, მაშასადამე, ახლაც იმას გააკეთებს, რასაც ეტყვიან“:

„კადიროვი დამოუკიდებელია ზუსტად იმდენად, რამდენადაც რეგიონების სხვა გუბერნატორები. სხვაობა იმაშია, რომ მას უფრო მეტის მისაკუთრების ნებას რთავენ, ვიდრე სხვებს. მაგალითად შეგვიძლია, მოვიყვანოთ კადიროვის სასახლე პირადი ზოოპარკით. ვერ ვიტყვით, რომ კადიროვი რაღაც საკუთარ, მოსკოვისგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს. პუტინი მას სხვადასხვა დიპლომატიური და სამხედრო საკითხების გადასაჭრელად იყენებს. სწორედ კადიროვის ხალხი იყო გარეული უამრავ გახმაურებულ პოლიტიკურ მკვლელობაში. იგი კრემლის მმართველი ელიტის ნაწილია და მის ინტერესებში მოქმედებს. გარდა ამისა, ნუ დავივიწყებთ, რომ ჯერჯერობით არავის არავისთვის არაფერი (იგულისხმება მიწები — რედ.) გადაუცია და ამ ეტაპზე ხდება მხოლოდ მართული კონფლიქტების შექმნის ტაქტიკის დემონსტრაცია ეროვნული უმცირესობებისთვის იმის საჩვენებლად, რომ მოსკოვის გარეშე მათ არაფერი შეუძლიათ. აქედან გამომდინარე, კრემლის სანქცირების გარეშე ჩეჩნეთს რეალურად, არცთუ ბევრი შანსი აქვს“.

შმულევიჩის თქმით, იგივე ტაქტიკა გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე და ეს „ბოლშევიკების საყვარელი ტაქტიკაა: ჯერ შექმნა კონფლიქტი, ხოლო შემდეგ თავად წყვეტდე“.

„ზოგჯერ ეს ტაქტიკა მუშაობს, ზოგჯერ — არა, როგორც 1980-იან წლებში მოხდა, როცა მოვლენები კონტროლიდან გავიდა და საბჭოთა კავშირი დაიშალა. რა მოხდება ამჯერად, შეძლებს თუ არა მოსკოვი ამ პარტიის ბოლომდე მიყვანას, ჯერჯერობით გაურკვეველია“,— ამბობს პოლიტოლოგი.

შმულევიჩი ასევე იხსენებს, რომ ჩეჩენ—ინგუშეთის დაპირისპირების დაწყებამდე 3 დღით ადრე რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჟირინოვსკი გამოვიდა ინიციატივით რუსეთის ფედერაციაში ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების გაუქმებისა და ქვეყნის უნიტარულად გადაქცევის შესახებ.

„ჟირინოვსკი დიდი ხანია, კრემლის „მოლაპარაკე თავად“ გვევლინება და ულტიმატუმის ფორმით აჟღერებს ინიციატივებს, რომელთა განხორციელებაც კრემლს სურს, თუმცა მანამდე ნიადაგის მოსინჯვა სჭირდება. კავკასიაში ყველა კონფლიქტის შედეგებზე დაყრდნობით მოსკოვს ახლა თავისუფლად შეუძლია, განაცხადოს, რომ რაკი მხარეები საზღვრების საკითხებზე ვერ ყალიბდებიან, სჯობს, ისინი საერთოდ მოიშალოს. ამ გზით პუტინს შეუძლია, სიტუაცია საკუთარი ავტორიტეტის განსამტკიცებლად გამოიყენოს. თუმცა ცნობილია, რომ კრემლმა სერიოზული საკონსტიტუციო რეფორმა წამოიწყო, რომელიც, როგორც უკვე ღიად განაცხადეს, რამდენიმე თვეში უნდა დასრულდეს. მათ ხომ სჭირდებათ გარკვეული დასაბუთებები ხელისუფლებაში დასარჩენად. შესაძლოა, მოვლენათა ეს „წარმოებაში ჩაშვებული“ ჯაჭვი გამოყენებული იყოს საბაბად მსგავსი ცვლილებების გატარებისთვის. ასეა თუ ისე, სადღეისოდ ნათელია, რომ დღევანდელი კონფლიქტებიც და მათი მომზადებაც ფედერალური ცენტრის მიერ იყო რეჟისორებული, მაშასადამე, ეს მას რაღაცისთვის სჭირდება“, — ასკვნის შმულევიჩი.

ქართველი ემიგრანტი ქალის პროტესტი იტალიაში

იტალიის ქალაქ ბარიში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის აივნიდან ბანერია გადმოფენილი წარწერით „რუსეთი ოკუპანტია“! აქ ახალგაზრდა ქართველი ქალბატონი ცხოვრობს.

ფოტო მან სოციალურ ქსელში გაავრცელა და ჩვენც იქ წავაწყდით.

„აქცენტმა“ გადაწყვიტა, ქალბატონს დაკავშირებოდა და ამ აქციის მოტივები გამოეკითხა.

„საკუთარი თავის „რეკლამირება“ არ მსურს, ამიტომაც ვინაობას ნუ მიუთითებთ. თითოეულმა ქართველმა სამშობლოშიც და უცხოეთშიც ჩვენი წილი საქმე უნდა ვაკეთოთ. მეც იმას ვაკეთებ, რაც შემიძლიაო“ — განგვიცხადა ქალბატონმა.

გულისტკივილით ისიც დაამატა, რაოდენ „მძიმე მოსასმენია საქართველოდან „ჩვენ დავიწყეთ ომი“, „ჩვენ დავბომბეთ ჩვენი სოფლები“, „ჩვენი მეზობელი აფხაზეთი“ და ა.შ., მაშინ, როცა ის და მისი შვილი გაწვიმებისას ამ ბანერს ხსნიან, რომ არ გაფუჭდეს“.

ცოტა ხნის წინათ მან ოკუპაციის წინააღმდეგ პროტესტი სხვა ფორმითაც გამოხატა — გადაწყვეტილებით, შვილი რუსეთის საკონსულოს საზეიმო გახსნაზე არ გაეშვა და შესაბამისი განცხადებით, რომლითაც იტალიაში შვილის სკოლის ადმინისტრაციას მიმართა:

„როგორც უბრალო ქართველი და რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული საქართველოს მოქალაქე, თავს ვალდებულად ვთვლი, უარი ვთქვა, ჩემმა შვილმა მონაწილეობა მიიღოს ოკუპანტი ქვეყნის საკონსულოს საზეიმო გახსნის ცერემონიაში ქალაქ ბარიში. პატივს ვცემ ამ ქვეყნის კულტურასა და ხელოვნებას, მოხარული ვარ იმ ფაქტით, რომ ჩემი შვილი, როგორც განსაკუთრებული მოსწავლე, არჩეულ იქნა პროექტში „სანკტ-პეტერბურგი“ მონაწილეობის მისაღებად და მზად არის, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გაემგზავროს და იცხოვროს აღნიშნულ ქალაქში. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ რუსი ოკუპანტები ჩემი ქვეყნის ტერიტორიაზე ყოველდღიურად წევენ საზღვრებს, იტაცებენ და ხოცავენ უდანაშაულო ადამიანებს, პროტესტის ნიშნად დღევანდელ ცერემონიას, რომელიც რუსეთის საკონსულოს გახსნას ეძღვნება, არ დავესწრებით. იტალიის დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარე, იმედს ვიტოვებ, რომ ჩემი დღევანდელი პროტესტი უარყოფით გავლენას არ მოახდენს პროექტში მის მონაწილეობაზე“.

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲙᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ᲛᲐᲘᲜᲪ რატომაა, რომ დღესდღეობით ასე სწრაფად ჩნდება ახალი დაავადებები და კვლავ გვიბრუნდება თითქოსდა სამუდამოდ დამარცხებული და დავიწყებას მიცემული, ვთქვათ, მალარია ან ქოლერა? ემუქრება თუ არა კაცობრიობას ახალი მასშტაბური ეპიდემიები, როგორია სპეციალისტების პროგნოზები?

აქამდე უცნობ დაავადებათა გაჩენის მთავარი მიზეზია **დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა და ადამიანთა გადაადგილების ინტენსივობა**. ამასთან, გასათვალისწინებელია, ადამიანთა ინფექციების უმეტესობა სინამდვილეში არ არის ადამიანური წარმოშობის. ესენია სხვადასხვა ცოცხალი არსებების (ცხოველების, მწერების) ვირუსები და ბაქტერიები. ასეთ ინფექციებს **ზოონოზები** ეწოდება.

დღითი დღე ადამიანთა რიცხოვნობა დედამიწაზე მატულობს, სამეურნეო საქმიანობაში ახალ-ახალი ტერიტორიები და, მათთან ერთად, იქ არსებული მცენარეები, ცხოველები და, ცხადია, მიკროორგანიზმები ერთვება. ჰოდა, შემდეგ გამოდის, რომ იქაური ბინადარი ვირუსები ჩვენს ორგანიზმში ხვდება და უკვე ადამიანთა პრობლემებად იქცევა. ასე წარმოიშვა შიდსი, ზიკისა და ებოლას ეპიდემიები, სხვა ციებ-ცხელებები, რესპირატორული სინდრომები, ათობით ახალი ეგზოტიკური დაავადება... **ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და მოკლე დროში კიდევ ათიათასობით ახალი, ჯერაც უცნობი ავადმყოფობის მომტანი მიკრობის აღმოჩენა გველის.**

დედამიწაზე ინფექციური რენესანსის მეორე მიზეზია ე.წ. **მესამე სამყაროს უზარმაზარი ქალაქები,** სადაც თავს იყრის იმ ქვეყნების სოფლების ღატაკი მოსახლეობა, რომელიც საშინელი ანტისანიტარიის პირობებში, სუფთა წყლისა და ნორმალური საკვების გარეშე, უწამლებოდ და უაცრებოდ ცხოვრობს. ასეთი მეგაპოლისები ყოველგვარი ჭირის უზარმაზარ ინკუბატორებად იქცევიან. შემდეგ კი ამ მეგაპოლისების მცხოვრებნი მთელ მსოფლიოში გადიან და თან ახალ-ახალ ტროპიკულ სნეულებათა მთელი თაიგულები გააქვთ.

დაბოლოს, ყველაზე დიდი სისულელე, რაც ჩვენ, ზომიერი სარტყელის მცხოვრებლებს მოგვდის, ესაა **აცრებზე უარის თქმა.** ჰოდა, ჰა, ბატონო, ევროპაში წითელა გაჩნდა, სამხრეთ ამერიკაში პოლიომიელიტი, ხელახლა წამოტივტივდა, თითქოს დიდი ხნის წინათ დაძლეული დიფტერია, ყივანახველა, სხვები.

ერთი სიტყვით ინფექციებთან დაკავშირებით ვითარება ძალზე რთულია: ანგარიში ათობით მილიონ დასნეულებულ ადამიანს ეხება და **ლაპარაკია დედამიწაზე პარალელურად მიმდინარე უკვე რამდენიმე პანდემიაზე**.

თვალის ერთი გადავლებით, პარადოქსული ვითარებაა შექმნილი: მაშინ, როცა მედიკოსებს ხელთა აქვთ უმძლავრესი ანტიბიოტიკები, რომელთა მეშვეობით რამდენიმე დღეში, ფაქტობრივად, ნებისმიერი ბაქტერიული ინფექციის დამარცხება შეიძლება, მოულოდნელად ადრინდელმა ეფექტიანმა ანტიბიოტიკებმა შეწყვიტეს მოქმედება, ლაპარაკი კი სუპერბაქტერიებზე დაიწყო, რომლებზეც არანაირი წამალი არ მოქმედებს. თანაც წამლები არ მოქმედებენ არამარტო ბაქტერიებზე, არამედ ვირუსებზეც, მიკროსკოპულ სოკოებზეც და ამების ტიპის უმარტივეს ორგანიზმებზეც. ასეა მოწყობილი ბუნება – მილიარდობით წლების მანძილზე დედამიწაზე მიკრობების თანამეგობრობა – მეცნიერულად მას მიკრობიოტა ეწოდება, გამუდმებით გადარჩენას ცდილობს. ამდენად, გამოდის, რომ **ნებისმიერ ბაქტერიებს ერთბაშად რამდენიმე ანტიბიოტიკის გამკლავების უნარი აქვს, რის შედეგად ვიღებთ ადამიანისთვის უაღრესად საშიშ სუპერბაგს (სუპერბაქტერიას), რომელსაც ვერანაირი წამალი ვერ ერევა**. ამაში კი მთავარი დამნაშავენი ისევ ჩვენ ვართ, ვინაიდან ანტიბიოტიკებს უამრავი მცირე მიზეზით მოვიხმართ, თანაც მათ მცირე დოზებით ანდა ძალიან მოკლე დროის მანძილზე ვსვამთ, თან საქონელს ათიათასობით ტონა უძლიერესი წამლით ვჭყეპთ, რათა არ იავადმყოფოს და ცოცხალი წონა რაც შეიძლება სწრაფად აკრიფოს. ჰოდა, აბა რა გასაკვირია, რომ ანტიბიოტიკები გარემოში ხვდება, სადაც მათი სელექცია ხდება, იქ კი ისეთი მიკრობები „იწრთობიან“, რომელთაც აღარაფრისა ეშინიათ. მერე ეს სუპერბაგები უსწრაფესად მთელ მსოფლიოში ვრცელდებიან და ვისაც უნდა შეეყაროს ის, საჭიროა ახალი წამლის ძებნა, იმიტომ, რომ უწინდელებს ვირუსები უკვე შეჩვეული არიან.

მაგრამ ახალი წამლების შექმნა დიდი პრობლემა არ არის, საჭიროა მხოლოდ ფული, თუმცა კი დიდი სახსრებია საჭირო, იმიტომ, რომ ბიოტექნოლოგიების, გენომიკის, პროთეომიკის, გენეტიკური რედაქტირების, ხელოვნური ინტელექტისა და სხვა მოწინავე ფარმაკოლოგიური ინოვაციების წარმატებები ამის საშუალებას იძლევა. ახლა საქმე მხოლოდ ფულზეა, რომლის გაღება სახელმწიფო დახმარების გარეშე, კერძო ფარმაცევტული კომპანიები თავისი ძალებით ვერ შეძლებენ.

ᲠᲐ ᲨᲣᲘᲚᲘᲐ ᲧᲣᲠᲔᲑᲨᲘ?

ᲓᲠᲝᲓᲐᲓᲠᲝ ყურებში შუილს ბევრი ადამიანი უჩივის. მაინც საიდან მოდის ეს ხმა და შეიძლება თუ არა მისი სრულად „დახშობა“?

მიჩნეულია, რომ ყურის შუილი – ეს ცალკე დაავადება კი არ არის, არამედ სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის სიმპტომია.

ტინიტუსის (ესე უწოდებენ მედიკოსები ყურის შუილს) მიზეზი შეიძლება იყოს: გოგირდის საცობი, მწვავე და ქრონიკული შუა ყურის ოტიტი, სასმენი მილების დისფუნქცია, სადოლე ღრუს სიმსივნე, ოტოსკლეროზი, ლაბირინთები, სენსონევრალური სმენის დაქვეითება, აკუსტიკური და ბაროტრავმები, მენიერის სნეულება, სასმენი ნერვის სიმსივნე.

ყველა ჩამოთვლილი დაავადება სმენის ორგანოთა პათოლოგიას მიეკუთვნება, მაგრამ ყურის შუილი შეიძლება ახლდეს საფეთქელ-ქვედა-ყბის სახსრის დაავადებებს, გულის მანკს, გულ-სისხლძარღვთა ანომალიურ ადგილმდებარეობებსა და ათეროსკლეროზს, ჰეპატიტს, შაქრიან დიაბეტს, ჰიპოგლიკემიას, ჰიპო- და ჰიპერთირეოზს. ზოგჯერ უსიამო შეგრძნებებს უჩივიან ადამიანები, რომლებსაც ხერხემლის კისრის განყოფილების ავადმყოფობები აქვთ, უჩივიან გაბნეულ სკლეროზს, შიზოფრენიას, დეპრესიულ მდგომარეობებს.

ყურის შუილი შეიძლება ასევე წარმოიშვას წამლების, მათ შორის ზოგიერთი ანტიბიოტიკის, ანთების საწინააღმდეგო და ასევე ოტოტოქსიკურ საშუალებათა და დიურეტიკების მილების ფონზე, ასევე ბენზოლით ან მეთილის სპირტით მოწამვლის დროს.

მიზეზებისა და პაციენტის ორგანიზმის თავისებურებათა მიხედვით, ყურის შუილი შეიძლება გამუდმებით ანდა დროდადრო წარმოიშვებოდეს. ამიტომაც, მიზეზის დასადგენად საჭიროა მთელი რიგი გამოკვლევის ჩატარება, რომელთა შორის აუცილებელია სმენის შემოწმება და პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შესწავლა.

საქმე ისაა, რომ ყურის შუილი არა მარტო ფსიქოლოგიურ აშლილობებს ახლავს, არამედ, ხშირად მათი მიზეზიც ხდება – გამუდმებული შუილი უძილობას, დეპრესიას, გაღიზიანებას, ყურადღების კონცენტრაციის დარღვევას და აუხსნელ შიშებს იწვევს, არსებობს სუიციდის შემთხვევებიც, რომელთა მიზეზი კატასტროფული ტინიტუსი გახდა.

ყურის შუილის სამკურნალოდ იყენებენ სხვადასხვა მედიკამენტოზურ საშუალებებს, მაგრამ ხშირად უფრო ეფექტიანია სხვა მეთოდიკები, რომლებიც ამცირებენ მის სიმძაფრეს და მისგან მიღებულ სტრესულ დატვირთვას. პაციენტს ასწავლიან არ მიაქციოს ყურადღება შუილს, ასევე აკონტროლოს ამ დაავადებასთან დაკავშირებული შიშები. პირველ ყოვლისა, ეს ხმოვანი თერაპიაა. ზოგჯერ პაციენტებს მუსიკალურ ნაწარმოებთა მოსმენასაც ურჩევენ.

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲢᲔᲛᲑᲠᲔᲑᲘ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ რომ შეყვარებულია, მისი ხმით შეიძლება გამოცნობა. თავის სატრფოს ქალი უფრო წვრილ და მაღალ ხმაზე ელაპარაკება, რომელიც ნაზად და საწყლად ჟღერს. ამით იგი თავის რჩეულს დახმარებისთვის მოუხმობს. მამაკაცის ხმა კი შეყვარებულთან ურთიერთობისას ბოხდება, რაც ჰორმონ ტესტოსტერონის ჭარბი გამომუშავების ნიშანია.

ᲓᲘᲐᲑᲔᲢᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ

ᲠᲣᲡᲛᲐ მეცნიერებმა ხელსაწყო შექმნეს, რომლის მეშვეობით ამოსუნთქული ჰაერით შესაძლებელია პაციენტის დიაბეტისადმი მიდრეკილების დადგენა.

მაღალი ხარისხის ანალიზატორი მისი ქიმიური შემადგენლობით სნეულებას ადგენს და სათანადო დასკვნას იძლევა. დიაგნოსტიკის ამ სახეობის გამოყენებით იმ პაციენტების გამოვლენაც შეიძლება, ვისაც ეს სნეულება მართალია არ სჭირს, მაგრამ მისდამი მიდრეკილია.

ᲙᲘᲑᲘᲗ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘᲡ „ᲢᲝᲜᲣᲡᲘ“

ᲙᲘᲑᲔᲖᲔ ასვლა ორგანიზმს ფინჯან ყავაზე უკეთეს ტონუსს აძლევს.

ამერიკელმა მეცნიერებმა ქრონიკული უძილობის მქონე პაციენტების ჯგუფი გამოიკვლიეს. აღმოჩნდა, რომ ისინი უკეთ ერთვებოდნენ მუშაობაში კიბით ათწუთიანი ასვლის შემდეგ, რის შემდეგ აქტიურდება თავის ტვინის მუშაობა, უმჯობესდება მეხსიერება.

კოფეინი კი ყურადღების კონცენტრირებასა და შრომისუნარიანობაზე არ მოქმედებს.

ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲘᲚᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲔᲡ!

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ღამე განხორციელებული ქირურგიული ჩარევა ძალიან სახიფათოა – გართულებათა საფრთხე ამ შემთხვევაში 50 პროცენტით მატულობს.

მედიკოსები განმარტავენ, რომ გეგმური ოპერაციები ყველაზე დატვირთულ კლინიკებშიც კი, როგორც წესი, დილაობით კეთდება. საღამოობით და განსაკუთრებით ღამე კი, ოპერაციები მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში ტარდება, რასაც მაღალი რისკი ახლავს. სათანადო გამოკვლევის არარსებობა და ოპერაციისთვის მზადების მცირე დრო, შემდგომ გართულებებს წარმოშობს.

„ᲢᲔᲚᲔᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲘᲚᲣᲖᲝᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ უკმაყოფილო ქალბატონები ტელევიზორს კვირაში 6 საათით მეტს უცქერენ, ვიდრე ბედნიერი მანდილოსნები.

ექსპერტების დასკვნით, მარტოხელა, უბედური ადამიანებისთვის ტელევიზორის ცქერა სხვა სამყაროს რეალობაში გაქცევას ნიშნავს. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ვირტუალური ტელეცხოვრება მათ მდგომარეობას კი არ ამსუბუქებს, არამედ, პირიქით, პრობლემებს უმძაფრებს. საქმე ისაა, რომ ამ დროს საგრძნობლად ვიწროვდება საურთიერთობო წრე, სოციალური კავშირები კი სუსტდება.

ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡᲘᲡᲣᲡᲢᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ

ᲢᲕᲘᲜᲘᲡ შერყევას, შესაძლოა, გონებასისუსტე მოჰყვეს.

ეს კანონზომიერება ბოსტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომლებმაც ერთი და მეტი ტვინის შერყევაგადატანილი ომების ვეტერანები შეისწავლეს.

დაკვირვებების შედეგად დადგინდა, რომ ტვინის სუსტი შერყევაც კი დემენციისადმი (ხანდაზმულობითი გონებასისუსტის – რედ.) მიდრეკილი თავის ტვინის უბნების დისტროფიას იწვევს, რაც დაავადების წარმოშობის რისკს ზრდის.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲝᲗᲐᲠ ᲩᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔᲛ

◎ წინ, საქართველოვ!

პარიზში მოპოვებული ბუდაპეშტში შეინარჩუნა

ქართველმა **თავისუფალი სტილით მოჭიდავე გენო პეტრიაშვილმა (125 კგ) 2017 წელს პარიზში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ამჯერად მან ტიტული უნგრეთის დედაქალაქში შეინარჩუნა. ბუდაპეშტის ხალიჩაზე ჩვენებურმა ჯერ უნგრელ დანიელ ლიგეტის 11:1 აჯობა, მერე მის კვალს გაუყენა რუსი ანზორ ხიზრიევი (8:5), ხოლო მეოთხედფინალში თურქ ტაჰა აკგულს მოუგო, რომელსაც შარშანდელ ფინალში სძლია. ნახევარფინალში გენომ ირანელი პარვიზ ხოდავირდი ჰადიბასმანჯი დაჯაბნა (13:6), ოქროსთვის პაექრობაში კი ჩინელ ჟივეი დენს წარმატების ოდნავი შანსიც (6:0) არ დაუტოვა. საგულისხმოა, რომ ქართველ ფალავანს მსოფლიოს ჩემპიონობა ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების პრეზიდენტმა ნენად ლალოვიჩმა მიულოცა.**

74 კილოგრამ წონით კატეგორიაში მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა ავთანდილ კენჭაძე. სტარტზე მან აზიის მოქმედ ჩემპიონს, უზბეკ ბეკზოდ აბდურახმონოვს (12:12) დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა, პოლონელ ანჯეი პიოტრ სოკალსკის (12:2) და აზერბაიჯანელ აბუბაკრ აბაკაროვს (5:2) იოლად მოუგო, ნახევარფინალში ევროპის მოქმედი ჩემპიონი სონერ დემირთაში (თურქეთი, 8:1) ჩამოიშორა გზიდან და ფინალური ორთაბრძოლა რუს ზაურბეკ სიდაკოვთან ფრედ – 2:2 დაასრულა, მაგრამ ბოლო ორქულიანი გდებით ჩემპიონობა მის მეტოქეს ხვდა.

ლაშა დიდია

2 „ოქრო“ და 3 „ბრინჯაო“

ასეთი **ნადავლით დაასრულეს ბაჰამის კუნძულებზე გამართული ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველმა ფალავნებმა. ლაშა გუჯეჯიანის შეგირდებმა ისტორიულ შედეგს მიაღწიეს – 5 მედალი დაიმსახურეს, რაც აქამდე არასდროს გვქონია. უფროსთა დარად, მსოფლიოს ჩემპიონები ახალგაზრდებშიც გვყავს – ლაშა ბექაური (90) და გელა ზაალიშვილი (+100), ხოლო მესამე ადგილებზე ჯაბა პაპინაშვილი (60), ლუკა მაისურაძე (81) და ონისე სანებლიძე(100) გავიდნენ.**

განსაკუთრებით სენსაციური იყო ბექაურის გამარჯვება – იგი ჭაბუკებიდან წლეულს გადმოვიდა ახალგაზრდებში, თანაც ორი წონით აინაცვლა და უცებ – ასეთი წარმატება. ბაჰამებზე მან ზედიზედ დაჯაბნა კანადელი ბემჯამინ კენდრიკი, ლატვიელი ემილს გერკენსი, იაპონელი კოსუკე მაშიამა, სერბი დარკო ბრასნიოვიჩი, ფინალში კი მეორე იაპონელ სანშირო მურაოს დასამარცხებლად სულ რაღაც 35 წამი იკმარა – ბეჭებით გააკრა ტატამს. ზაალიშვილმა ფინალამდე დამაჯერებლად სძლია იაპონელ ტაცურუ საიტოს (14 წამში), ჩილელ ფრანსისკო სოლისს, რუს ჯამალ ჰამზათხანოვს და გადამწყვეტ პაექრობაში სტეფან ჰეგისაც იპონით მოუგო, არადა, ეს ავსტრიელი უფროსებში ევროპის წლევანდელი პრიზიორია.

მსოფლიოს პირველობაზე ამჯერად უმედლოდ დარჩნენ ჩვენი გოგონები, ხოლო გუნდურში ასევე კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდა საქართველოს ნაკრები. მართალია, ჩვენებმა ქვეჯგუფში საფრანგეთს 5:3 მოუგეს, მაგრამ მერე იაპონიასა (1:5) და რუსეთთან (2:3) დამარცხდნენ.

გივი გაგუა

◎ სპორტი და დანაშაული

„საჯარიმო“ გუნდი

რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრების მოთამაშეები ალექსანდრე კოკორინი და პავლე მამაევი დააკავეს ქუჩაში და ყავახანაში ჩხუბისთვის, სასამართლომ მათ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ახლა რუსეთული მასმედიისა და სოციალური ქსელების ერთ-ერთი მთავარი „სპორტული“ თემა ისაა, მიუსჯიან თუ არა ფეხბურთელებს რეალურად თავისუფლების აღკვეთას?

არადა, ფეხბურთში (და არა მარტო სპორტის ამ სახეობაში) მსგავსი შემთხვევები უწინაც მრავლად ყოფილა, თანაც დანაშაულთა „პალიტრა“ გაცილებით მდიდარია, ვიდრე სიმთვრალეში კაცის ცემა – ესენია ძარცვა, გაუპატიურება, მკვლელობა, ფინანსური მაქინაციები, ავტოსაგზაო შემთხვევები და სხვ. ცუდი ამბები ჩვენს თანამედროვე სპორტსმენებსაც მოსვლიათ.

კერძოდ, **გიორგი დემეტრაძე** თავის დროზე ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებაში მონაწილეობასა და იატაკქვეშა კაზინოს მოწყობაში დაადანაშაულეს, 1999 წლის რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ისტორიაში (იგი „ალანიას“ შემადგენლობაში თამაშობდა) ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური ასპექტიც. 2010 წელს, პრეზიდენტ სააკაშვილის რეჟიმის დროს, იგი 6 წლით ციხეში ჩასვეს მაფიასთან კავშირების, ასევე იატაკქვეშა კაზინოების ორგანიზაციისა და ძალის გამოყენებით ვალების აღების გამო. საქართველოში ხელისუფლების შეცვლიდან წელიწადნახევარში იგი ამნისტიით ციხიდან გაათავისუფლეს, ცოტა ხანში კი გ. დემეტრაძე საფეხბურთო კლუბ ქუთაისის „ტორპედოს“ პრეზიდენტი გახდა.

გაცილებით ადრე, მოსკოვის „სპარტაკის“ ცნობილ ფეხბურთელებს **ძმებ სტაროსტინებს** არაკეთილსაიმედოობის ბრალდება წაუყენეს და 1942 წლის მარტში ოთხივე ძმა დააპატიმრეს. რუსეთში მოარული ვერსიით, ეს ამბავი ლავრენტი ბერიას შურისძიება იყო იმისათვის, რომ ჯერ კიდევ 1939 წელს „სპარტაკმა“ სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრა შინსახკომის საუწყებო გუნდს თბილისის „დინამოს“ მოუგო. **(არადა, დანამდვილებითაა ცნობილი, რომ როცა 1941 წელს გერმანელთა ჯარი მოსკოვის მისადგომებთან იყო მისული, ძმები სტაროსტინები „ახალი ხელისუფლების“ მოსვლისთვის ემზადებოდნენ და უჩუმრად... გერმანულის სასწავლებლად დადიოდნენ – ნ. ა.).** სტაროსტინებს ანტისაბჭოურ პროპაგანდისა და სამშობლოს ღალატის ბრალდება წაუყენეს – ოთხივეს 10-10 წლით პატიმრობა და ქონების კონფისკაცია მიუსაჯეს. ნიკოლოზი ოთხი წლის შემდეგ გამოუშვეს (თითქოსდა იმ მიზეზით, რომ ვასილი სტალინს მწვრთნელი სჭირდებოდა), ალექსანდრემ, ანდრიამ და პეტრემ კი სასჯელი სრულად მოიხადეს. 1954 წელს ოთხივემ რეაბილიტაცია მიიღო.

ედუარდ სტრელცოვი ციხეში გაუპატიურების გამო მოხვდა. სსრ კავშირის იმ დროის ყველაზე კაშკაშა და დამოუკიდებელ სპორტსმენს 1958 წელს 20 წლის მარინა ორლოვას გაუპატიურებაში დასდეს ბრალი, რომელიც მასთან ერთად პოდგოსკოვიეში აგარაკზე იმყოფებოდა. თავდაპირველად, მასთან ერთად საქმეში სსრ კავშირის ნაკრების კიდევ ორი ფეხბურთელი – **ბორის ტატუშინი** და **მიხეილ ოგონკოვი** გადიოდნენ, მაგრამ მერე ისინი გაამართლეს, სტრელცოვს კი 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამბობდნენ, რომ საქმეში აუარება შეუსაბამობა იყო და ის იმის გამო შეთითხნეს, რომ სტრელცოვმა მოსკოვის „ტორპედოდან“ ცსკა-ში ან „დინამოში“ გადასვლაზე უარი თქვა. მან ხუთი წელი ბანაკებში გაატარა, შემდეგ კი ვადამდე ადრე გაათავისუფლეს, მერე ერთ წელიწადში ფეხბურთში დაბრუნების ნებაც დართეს და კიდევ ხუთ წელიწადს ისევ „ტორპედოში“ თამაშობდა, თუმცა ნაკრებში აღარ მიუწვევიათ.

იური სევიდოვმა კი ავტოსაგზაო შემთხვევაში კაცი გაიტანა. 1965 წელს მოსკოვის „სპარტაკის“ თავდასმხმელმა მანქანა ცნობილ მეცნიერ-ქიმიკოსს, ლენინური პრემისი სამგზის ლაურეატს დიმიტრი რიაბჩიკოვს დააჯახა. აკადემიკოსი ჩვეულებრივ საავადმყოფოში მიიყვანეს ფეხის მოტეხილობით, რომელიც, არასწორი დიაგნოზის შედეგად, გაუმართლებლად მოკვეთეს. 62 წლის აკადემიკოსი გულით გარდაიცვალა, სევადოვს კი 10 წელი მიუსაჯეს, თუმცა, 4 წლის შემდეგ შეიწყალეს. მან ფეხბურთელის კარიერა კი გააგრძელა, მაგრამ მოსკოვის კლუბებში აღარ ათამაშებდნენ.

ბორის დერკაჩს მკვლელობის მცდელობისა და გაქცევის ბრალდება წაუყენეს. კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში სსრ კავშირის ჩემპიონი, დერკაჩი 1990-იან წლებში ფულის საშოვნელად უნგრეთში წავიდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბუდაპეშტში მოქმედ უკრაინულ დანაშაულებრივ დაჯგუფებაში მატერიალური შემოსავალი გაცილებით მეტი და უფრო ადვილი მისაღები ყოფილა. ორიოდე წლის შემდეგ, შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმის დროს, ფეხბურთელი დააკავეს, რა დროსაც მან სამი კაცი დაჭრა. მას 11-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ დერკაჩმა გაქცევა სცადა, თუმცა, მძიმე წონამ შეუშალა ხელი : როცა ციხის დაცვამ მას ცეცხლი გაუხსნა, იგი ღობეზე გადახტა, ფეხი დაიზიანა და ტყეში ძაღლებმა მიაგნეს. გათავისუფლების შემდეგ დერკაჩმა საფეხბურთო აგენტობა დაიწყო.

ვლადისლავ პისკუნი კი საფეხბურთო კლუბ „სევასტოპოლში“ თამაშობდა. 2010 წელს მის მიერ მართულ ავტომანქანა ტროტუარზე შევარდა, სადაც ფეხმძიმე ქალი და მისი ორი შვილი გაიტანა. თავდაპირველად პისკუნს 6,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თუმცა, მერე სასჯელი 9 წლამდე გაუზარდეს. მან ამ ვადის ნახევარი მოიხადა და წესიერი ყოფაქცევისთვის გამოუშვეს. იგი კვლავ დაუბრუნდა ფეხბურთელის კარიერას და ამჟამად უკრაინის ჩემპიონატის მონაწილე კლუბ „კრემენის“ ღირსების იცავს.

ნინო ალექსანდრია

ყველაზე ძვირადღირებულები

საგენტო INTERBRAND-მა ყველაზე ძვირადღირებული ბრენდების უახლესი, 2018 წლის რეიტინგი გამოაქვეყნა.

APPLE

1. რეიტინგში პირველ ადგილს, 214 მილიარდ 480 მილიონი დოლარის ღირებულების ბრენდი „ეფლი“ იკავებს, რომელიც უკვე წლებია კომპიუტერების, ნოუთბუქების, მედიაპლეერებისა და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი კომპანიაა. სწორედ მასთან არის დაკავშირებული პირველი პერსონალური კომპიუტერი, პირველი ოპერაციული სისტემა – გრაფიკული ინტერფეისით და მუსიკის პირველი ინტერნეტ-მაღაზია.

GOOGLE

2. „ეფლს“ კი რეიტინგში, 155 მილიარდ 506 მილიონი დოლარის ღირებულებით, კომპანია „გუგლი“ მოსდევს, რომელიც საკუთარი არსებობის ისტორიას 1998 წლიდან იწყებს და დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კომპიუტერული ძებნის სისტემაა მთელ მსოფლიოში.

AMAZON

3. რიგით მესამე ყველაზე ძვირადღირებული კომპანია კი, ინტერნეტ-მაღაზია „ამაზონია“, რომლის ღირებულებაც 100 მილიარდ 764 მილიონ დოლარს უტოლდება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მართალია, ყველაზე ძვირადღირებული კომპანიების რეიტინგში „ამაზონი“ მესამე ადგილზე მოხვდა, თუმცა, სამაგიეროდ, მისი დამფუძნებელია ლიდერი ყველაზე მდიდარ ამერიკელთა სიაში, რომლის შემოსავლების დიდი ნაწილიც სწორედ „ამაზონთან“ არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ბეზოსი, გარდა „ამაზონისა“, აეროკოსმოსურ კომპანიასაც ფლობს და საგამომცემლო სახლი – Washington Post-იც მის განკარგულებაშია, დაგროვილი, 160 მილიარდი დოლარის ოდენობის ქონების უდიდესი წილი მაინც „ამაზონთან“ არის დაკავშირებული.

MICROSOFT

4. კიდევ ერთი კომპანია, რომელიც ყველაზე ძვირად არის შეფასებული, მ„აიკროსოფტია“. მისი ღირებულება კი, 92 მილიარდ 715 მილიონი დოლარია. ამ მაჩვენებლით, მულტინაციონალური კომპიუტერული ტექნოლოგიების კორპორაცია, რომელიც ამზადებს, აპატენტებს და ლობირებს კომპიუტერული მოწყობილობებისთვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის ფართო სპექტრს, რეიტინგში მეოთხე პოზიციაზეა დასახელებული.

COCA-COLA

5. ხუთეულს კოკა-კოლა ასრულებს, რომელიც, დღევანდელი მონაცემებით, 66 მილიარდ 341 მილიონი დოლარი ღირს. უალკოჰოლო სასმელი მსოფლიოს 200 ქვეყანაში იყიდება და სტატისტიკის თანახმად, მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 94%-ს ერთხელ მაინც სმენია მის შესახებ. ხოლო იმ დროს, როდესაც ტრადიციული სასმელების გაყიდვები დღითი დღე მცირდება და კომპანიები გადარჩენის გზებს აქტიურად ეძებენ, კოკა-კოლა მაინც ლიდერთა სიაში სახელდება. პოპულარობის მიზეზად კი, უწყვეტი განვითარება, სიახლეები და ინოვაციები სახელდება. ხოლო მომხმარებელთა კიდევ უფრო დაინტერესების მიზნით, მწარმოებლებმა, მალე შესაძლოა, სასმელში მარიხუანაც დაუმატონ.

SAMSUNG

6. ხუთეულში ვერ მოხვდა, მაგრამ ყველაზე ძვირადღირებულად არის აღიარებული „სამსუნგიც“, რომელიც 59 მილიარდ 890 მილიონ დოლარად არის შეფასებული და საპატიო მეექვსე ადგილიც ხვდა წილად რეიტინგში. სამხრეთ კორეის ერთ-ერთი უმსხვილესი სამრეწველო კონცერნი 1938 წელს შეიქმნა, როგორც შიდა ბაზარზე მომუშავე ნედლეულისა და პროდუქტების კომპანია. დღეს კი, მას მსოფლიო მასშტაბით 400 ათასზე მეტი ადამიანი ჰყავს დასაქმებული და აწარმოებს მობილურ ტელეფონებს, ავტომანქანებს, თვითმფრინავებს, ტექსტილს, ხომალდებს, ქიმიკატებსა და კიდევ ბევრ სხვა ნაწარმს.

TOYOTA MOTOR CORPORATION

7. „სამსუნგს“, რეიტინგში 53 მილიარდ 404 მილიონ დოლარად შეფასებული იაპონური, ავტომობილების მწარმოებელი კორპორაცია „Toyota Motor Corporation“ მოსდევს.

ტოპ-ათეულის ბოლო სამ პოზიციას იკავებენ:

8. 48 მილიარდ 601 მილიონი დოლარის ღირებულების Mercedes-Benz; 9. 45 მილიარდ 168 მილიონი დოლარის ღირებულების „Facebook“; 10. 43 მილიარდ 417 მილიონი დოლარის ღირებულების McDonald's.

bm.ge

მსოფლიოს ყველაზე მწეველი ქვეყნები

საერთაშორისო ორგანიზაცია tobaccoatlas-მა შეადგინა ქვეყნების რეიტინგი თამბაქოს მოხმარების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტად თამბაქოს მოიხმარენ აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი სიღარიბეს და მოწევას შორის. რეიტინგში ვერ მოხვდა ვერც ერთი მდიდარი ქვეყანა, ვერც ერთი დასავლეთ ევროპული ქვეყანა, ასევე მოწინავე მწეველ ქვეყნებს შორის არ არის არც აშშ და არც კანადა. თუმცა, რაც შეეხება კორელაციას სიღარიბესთან – რეიტინგში ამავე დროს ვერ მოხვდა ვერც ერთი ღატაკი აფრიკული ან აზიური ქვეყანა – მხოლოდ საშუალო დონის ევროპული სახელმწიფოები. რეიტინგი დგინდება ერთ სულ მოსახლეზე წლიურად მოხმარებული სიგარეტის ღერების რაოდენობით.

10. ჩერნოგორია – 2 157 სიგარეტი წელიწადში

ქვეყანაში მოქმედებს მკაცრი რეგულაციები – კერძოდ, აკრძალულია მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში და დახურულ შენობებში. თუმცა, ეს არ უშლის ჩერნოგორიელებს თამბაქოს დიდი რაოდენობით მოხმარებაში.

9. ბელორუსი – 2 266 სიგარეტი წელიწადში

თამბაქოს მოხმარება აღმოსავლეთ ევროპაში 1990-2009 წლებში შემცირდა 26%-ით – ეს ხდება იმის ფონზე, რომ ადამიანები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ თამბაქოს მავნებლობას, ხოლო მთავრობები აქტიურად იღებენ მოწევის შემზღუდავ კანონებს. თუმცა, ამ ფონზე რეგიონის ქვეყნებში სიგარეტის მოხმარება მაინც რჩება სერიოზულ პრობლემად – მაგალითად, ბელორუსში, რომელიც შეზღუდვების და მოქალაქეებში ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდის მიუხედავად, შედის მწეველ ქვეყანათა ტოპ-ათეულში.

8. ბოსნია-ჰერცეგოვინა, 2 278 სიგარეტი წელიწადში

კიდევ ერთი ბალკანური ქვეყანა, რომელიც შედის მწეველთა ლიდერების სიაში. ხელისუფლება ცდილობს, შეამციროს თამბაქოს მოხმარება ქვეყანაში, რისთვისაც აამოქმედა საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები. თუმცა ამის მიუხედავად, ბოსნიელები მაინც ძალიან ბევრს ეწევიან.

ცვლის თუ არა კანონის გამკაცრება სტატისტიკას?

7. სლოვენია, 2 369 სიგარეტი წელიწადში

გამონაკლისი რეიტინგში – სლოვენია, იმის მიუხედავად, რომ ეს არის ყოფილი იუგოსლავიის ნაწილი, საკმაოდ მდიდარი და განვითარებული ქვეყანა, იქ ეწევიან ისე, როგორც მეზობელ ღარიბ სახელმწიფოებში. სლოვენიაში აკრძალულია მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში, მათ შორის სამსახურში. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით მოწევის მასშტაბები ქვეყანაში მცირდება, თუმცა ჯერაც დიდია.

6. უკრაინა, 2 401 სიგარეტი წელიწადში

უკრაინის ხელისუფლებამ ჯერ აკრძალა მოწევა საგანმანათლებლო და ჯანდაცვის ობიექტებში, შემდეგ რესტორნებში, სახელმწიფო დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ადგილებში. ამგვარად სახელმწიფო ცდილობს მწეველთა მადის შეზღუდვას, თუმცა ჯერ-ჯერობით – უშედეგოდ.

5. მოლდოვა, 2 479 სიგარეტი წელიწადში

ქვეყანაში მოქმედებს ძალიან მკაცრი შეზღუდვები თამბაქოს მოხმარებაზე – მოწევა არ შეიძლება არა მხოლოდ დახურულ სივრცეში, არამედ ოთახში, რომელსაც გააჩნია თუნდაც ერთი კედელი – მაგალითად, რესტორნების ვერანდებზე. მეტიც, აკრძალულია მოწევა ღია სივრცეშიც კი, თუ ის ეკუთვნის სასწავლო ან ჯანდაცვის ობიექტს. თუმცა ყველა ეს შეზღუდა საბოლოო ჯამში ვერ ასრულებს მთავარ მიზანს – მოლდაველები მაინც ძალიან ბევრს ეწევიან.

4. რუსეთი, 2 786 სიგარეტი წელიწადში

2013 წელს რუსეთში ამოქმედდა მკაცრი რეგულაციები – აიკრძალა მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში, სიგარეტების ყუთებზე გაჩნდა გამაფრთხილებელი წარწერები.

მთავრობა ცდილობს, მიიღოს დამატებით ზომები მოწევის დონის შესამცირებლად, კერძოდ, განიხილება ისეთი ნაბიჯები, როგორც თამბაქოს ხელმისაწვდომობის შემცირება, მოწევისთვის ნებადართული ადგილების რაოდენობის შემცირება და ა.შ.

3. საბერძნეთი, 2 795 სიგარეტი წელიწადში

ევროკავშირის ყველაზე მწეველი ქვეყანა. აქ არაერთხელ იყო მოწევის შემზღუდავი კანონების მიღების მცდელობა, თუმცა უშედეგოდ. ბოლოს და ბოლოს, მთავრობამ აკრძალა მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში, თუმცა ეს შეზღუდვა რეალურად არ მოქმედებს – ყველა ეწევა, სადაც ჩათვლის საჭიროდ, ხოლო სახელმწიფო არ ახორციელებს არანაირ კონტროლს კანონის შესრულებაზე.

2. ბულგარეთი, 2 822 სიგარეტი წელიწადში

ბულგარეთი არის ერთ-ერთი ყველაზე მწეველი ქვეყანა მსოფლიოში, თუმცა, მთავრობა ცდილობს თამბაქოს მოხმარების შეზღუდვას – კერძოდ, მოწევა აკრძალულია საზოგადოებრივ ადგილებში, მათ შორის რესტორნებში და ბარებში.

1.სერბეთი, 2 861 სიგარეტი წელიწადში

ეს ბალკანური ქვეყანა არის მსოფლიო ლიდერი თამბაქოს მოხმარებაში. ხელისუფლება იღებს მკაცრ ზომებს ამის საწინააღმდეგოდ, თუმცა უშედეგოდ – სერბეთის მოსახლეობის 33,6% მწეველია.

commersant.ge

ვულოცავთ!

გოგი მეკოკიშვილი – 80



23 ოქტომბერი გოგის დაბადების დღეა, ლეგენდარული ფალავნის არსენ მეკოკიშვილის ვაჟისა და გენის გამგრძელებლის.

მოსკოვში დაბადებულმა და გაზრდილმა ქართველი კაცის ცხოვრებით იცხოვრა, თვითონაც მოჭიდავემ ტიმირიაზევის სახელობის აკადემია დაამთავრა, დაიცვა საკანდიდატო, შემდეგ კი სადოქტორო დისერტაციები ეკონომიკაში. 17 წელი იმუშავა მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელობის საერთაშორისო უნივერსიტეტში, 10 წელი – ანგოლაში სსრ კავშირის კულტურის ცენტრის დირექტორად და იმავდროულად – საელჩოს პირველ მდივნად. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მშობლიურ საგარეჯოში, გიორგიწმინდაში წინაპრების კერას დაუბრუნდა მეუღლით, ვაჟითა და შვილიშვილით.

ბერმუხასავით დგას მამაპაპეულ მამულში, მეკოკიშვილთა ძლიერ ფესვს კიდევ უფრო ამძლავრებს.

ღმერთმა ხელი მოუმართოს!

თეიგიზ ქავთარაძე

ფიქრთ გასართველად

სხვათაგან თქმული

უგედურეგას მარტო მოსვლა არ უყვარს, პოლიციასთან და „სასწრაფო დახმარებასთან“ ერთად მოდის.

* * *

ცხოვრეგამ გვიჩვენა, რომ თუ ფული თოვლივით გვეყრება თავზე, თოვლივითვე სწრაფად დნება.

* * *

თუ ლამაზ ქალს მიუგორდი, ნუღარ დაამუხრუჭებ.

* * *

სპოლა ცხოვრებას გვასწავლის, ცხოვრება კი მერე გვწვრთნის.

* * *

– **ალო!** ლაპარაკი შეგიძლიათ?

– გმადლობთ, ლოგოპედი არ მჭირდება.

* * *

მე ძალიან ცეცხლსაშიში ვარ, ჯერ ემოციებისგან ვფეთქდები, მერე სირცხვილისგან ვიწვი.

* * *

– **დღეს** თავი ჰერაკლე მგონია.

– ეგ როგორ?

– როგორ და, რაღაც გმირობის ჩადენა მინდა!

* * *

შოკოთერაპია – შოკოლადით მკურნალობა.

* * *

არაცოლქმრული შეწყვილების შემოსავალი იგივე პროსტიტუციის შემოსავალია.

* * *

ფული ფულთან მიდის? რა კარგი იქნება როგორმე გზად რომ შეხვდე.

* * *

რეგვენს თუ ყველაფერი გაეგება, უბედურებას ელოდე.

* * *

ყველა ოცნება თუ აგიხდა, ესე იგი, ოცნებათა თამასა დაადაბლე.

* * *

უკვდავების ელექსირის გამომგონებელმა ელექსირის საიდუმლოება საფლავში ჩაიტანა.

* * *

ზოგი ქმარი რძესა ჰგავს, თუ ადუღდა, საწოლიდან გადმოვა და გ(დ)აიქცევა.

თამაზ თამაზაშვილი – საქართველოს საუკეთესო სომელიე

ძართული ღვინის დღეები „ღვინობისთვე-2018“ სომელიეთა კონკურსით დასრულდა. საქართველოს სომელიეთა ასოციაციის ორგანიზებითა და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, კონკურსი „საქართველოს საუკეთესო სომელიე“ პირველად გაიმართა და მასში თამაზ თამაზაშვილმა გაიმარჯვა.

კონკურსში მონაწილეობდა 10 სომელიე, რომელთაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის მიერ ოფიციალურად აქვთ მინიჭებული სომელიეს, ან ასისტენტ სომელიეს სტატუსი. კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში ქართველი და უცხოელი ექსპერტები შედიოდნენ. ფინალისტთა შესარჩევი ტური კონკურსის წინა დღეს გაიმართა. 10 მონაწილიდან ფინალში სამი სომელიე გადავიდა. გამარჯვებული სომელიე 2019 წლის მარტში გაემგზავრება ბელგიაში და იასპარეზებს კონკურსში „მსოფლიოს საუკეთესო სომელიე“.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, კონკურსის ჟიურის წევრი ლევან მეხუზლა მიიჩნევს, რომ სომელიეს პროფესია ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ღვინის მოხმარების კულტურის პოპულარიზაციის კუთხით.

„ეს ხალხი არა მხოლოდ წარადგენს და ყიდის, არამედ გადასცემს ღვინის კულტურას, ის უნდა ფლობდეს დეტალურ ინფორმაციას მის მიერ წარდგენილ ღვინოზე. ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოში დაინერგოს ღვინის სწორი მოხმარების კულტურა, რაშიც სომელიეებს ძალიან დიდი როლი აკისრიათ“, – აღნიშნა ლევან მეხუზლამ.

„ღვინობისთვე-2018“-ის ფარგლებში, 5-დან 21 ოქტომბრამდე, ღვინის ფესტივალები თბილისში, თელავში, მარნეულსა და გურჯაანში გაიმართა. „ქართული ღვინის დღე“ 2014 წლიდან აღინიშნება.

commersant.ge

ინატრე, სულო და გულო

აღმოსავლური ორთაბრძოლების ცნობილი ოსტატის იუნგ ჯოის გულის სწორი, ჩინელი მოდელი ვენდი ლი არამხოლოდ ჩინეთში, მთელს აზიაში ერთ-ერთი ცნობილი და გულმისავალი ლამაზმანია, რომელიც, განსხვავებით მისი სხვა კოლეგებისგან, ჩინეთს თითქმის არასოდეს ტოვებს.

ვენდი ლი თავისი დიდებული ტან-ფეხ-მკერდის ხილვით ხშირად ანებივრებს ტელეეკრანებზე ცხვირმიჭყლეტილ თანამემამულე მამრებს. იგი სამოდელო საქმის გარდა მსახიობობით, პიარ-მენეჯერობითა და ტელეწამყვანობითაცაა დაკავებული.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც მავანნი წერენ, ბოლო წლებში ნამეტნავად შეცვლილა აზიელთა გემოვნება ქალების მიმართ. თუკი ადრე აზიელებს გემრიელად ჩაპუტკუნებული დედაკაცები იზიდავდათ, ახლა მათი გემოვნება კოხტად ჩამოთლილ თხელ ქალებს ეგურგურება. თუმცა, დიადი მკერდის სიყვარულს აზიელები რომ არასოდეს დაკარგავენ – ეს ვენდი ლის საოცარი სილუეტიდანაც ჩანს...

როსტომ რაჭველიშვილი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

„ჯეომედია“
266-51-13; 593 209 526

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10; 599 797 679.

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

რედაქციას სასწრაფოდ ესაჭიროება კვალიფიციური დამკაბადონებელი. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: კოსტავას ქ. №21, II სართული.
ტელეფონი: 599-79-76-79, 599-53-76-16, 599-36-00-35.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6972; ევრო - 3.0921;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5155;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4473;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5913;
1000 სომხური დრამი - 5.57049.

ამინდი 23 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+22
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+12,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge